# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 4 აპრილი. 2018 წ. №69 (8470), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# პოლიტიკური ტაკიმასხარა, ცრუპენტელა სააკაშვილი ახალ რევოლუციას გვპირდება!..

**ძველი არაერთი მძიმე დანაშაულისთვის ჯერაც არ უგია ხალხისა და ქვეყნის წინაშე პასუხი უთუოდ ხალხისავე შეცდომით გაპრეზიდენტებულ სააკაშვილს, რომელმაც თავისი „პოლიტიკური ჭირვეულობით“ უკვე საკმაოდ მოაბეზრა თავისი ბოღვერა თავი არა მარტო ქართველ საზოგადოებას, რომ კვლავ და კვლავ თავისი ჯიბის „პანდორას ყუთის“ — „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან გვევლინება და არამკითხედ „გვეპატრონება“, როგორც ბიძინა ივანიშვილისგან „გაუბედურებულ ქართველ ხალხს“.**

2 აპრილს კიდევ ერთხელ მოგვევლანდა გიული ალასანიას ბიჭი (მამა ნიკოლოზი ანგარიშში ჩასაგდები არ არის), მაგრამ ახლა უკვე ყოველგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საზღვარი დაარღვია და დაუკრეფავში გადავიდა კი არა, ახალი რევოლუციური პროგრამის მინიმუმი და მაქსიმუმი ერთდროულად ჩამოაყალიბა, კვინტესენციად კი წამოაყრანტალა: წელსვე, პრეზიდენტის არჩევნების კვალდაკვალ ბოლო უნდა მოვუღოთ ამ მავნე ხელისუფლებას და ჩვენ, ნაციონალური პარტია, უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაშიო.

ბარემ თვითონ ვათხოვოთ ამ ლაგამწაყრილ კარიერისტს ერთი წამი ყური: **„მე საქართველოში ჩამოსვლას და იმ დაპირებების შესრულებას ვაპირებ, რომელთაც ქვეყნის მოსახლეობას ვაძლევ. მდგომარეობა არის კატასტროფული და გული მიკვდება, როცა ვუყურებ ქართული ოჯახების გაჭირვებას. ივანიშვილი საქართველოში აკეთებს ზუსტად იმავეს, რაც მან იცის 90-იანი წლებიდან. ის მოელაპარაკა რამდენიმე ბანკს და ბანკების დახმარებით დაკავებულია ქვეყნის გაჩანაგებით.**

**მე მიხეილ სააკაშვილი ამ მაფიას ვეუბნები, რომ გავაუქმებთ თქვენს მმართველობას, თითოეულ ქართველს, ქართულ ოჯახებს და ნამდვილ ქართულ ბიზნესებს დავუბრუნებთ ეკონომიკურ ძალაუფლებას. როდესაც ჩვენ ამას მივაღწევთ, ეს მოგვცემს საშუალებას, გავზარდოთ ხელფასები“.**



თურმე მინიმუმ ხელფასს — 400 ლარს გაუტოლდება პენსიაც... და ერთხელ და სამუდამოდ შვებას ვიგრძნობთ საქართველოს ცის ქვეშ მცხოვრები თითოეული ადამიანი.

ერთი სიტყვით, თუ ამჟამინდელი ხელისუფლება ნაციონალებმა წელსვე უნდა შეცვალონ, მაშასადამე, რევოლუციას უნდა ველოდოთ, იქნებ ამჯერად ვარდების რევოლუცია აღარ იყოს, მაგრამ სისხლისფერი რომ იქნება, ამას ბევრი „რაგადი“ არ უნდა!

რევოლუციისთვის ფონი ქვეყნის მთავარი მზარეულის გვარამია-არამიას მიერ შექმნილია, შექმნილია აგრეთვე რამდენიმე ნაციონალური ფრონტი. აბა, ჰე, შე, მართლა მაფიის ფიურერო — სააკანთ ბიჭო, ახლა შენ იცი და შენმა რევოლუციურმა მარიფათმა! ხომ ხახვივით შეგარჩინა „ქართულმა ოცნებამ“ და, სამწუხაროდ, ერთხანს თვითონ შენმა ხელისამპყრობელმა ბიძინა ივანიშვილმა მთელი შენი ბოროტმოქმედება, რაც უსინდისოდ დამართე შენს ნაციონალურ, მავნე საძმაკაცოსთან ერთად თქვენგან ნამუსახდილ სამშობლოს!

იმედია, „ქართული ოცნება“ ახლა მაინც გამოიოცნებებს გათავხედებული ნაპრეზიდენტალის მიმართ რატომღაც მიმტევებლობით გალიცლიცებულ თავს და საკადრის პასუხს გასცემს შენს ნარჩენ მელიებსა და გველიებს ოფიციალური განცხადების სახით და ბურთად ჩაგჩრის პოლიტიკურ ტაკიმასხარა, ცრუპენტელა სააკაშვილსა და ყველა „მიშელს“, რომელსაც სკამი აღარ ჰყოფნის და, ხალხის კისერზე მუქთა ცხოვრებას მიჩვეული, „ტახტისკენ“ მიიწევს!

**ბოლოს და ბოლოს, შენი ენაწაგდებული ტრაბახი და უსაფუძვლო მუქარა უნდა დამთავრდეს, შე მართლა პოლიტიკურად ჩასვრილო ტაკიმასხარავ და ბოროტო ცრუპენტელავ, ჯერ თვითონ გაქვს კარგა გვარიანი პასუხი საგები!**

**ძველ უმძიმეს სახელმწიფოებრივ ცოდვებს ახალი „რევოლუციით“ ვერ ჩამოირეცხავ!**

**ამას შენ, შენ გეუბნებით, ძალად მაცხონევ, შენი პროპაგანდისტული ჟანგიანი „არტილერიის“ — თვითმარქვია „რუსთავი-2“-ის რატომღაც დღემდე მფლობელო, სტრასბურგის იმედით უსირცხვილოდ მონა-მზარეულის გვარამიას ამოფარებულო!..**

## „ოცნების“ ხელისუფლებავ! იკითხეთ გაზეთები და ისწავლეთ ქვეყნის მართვა!



②



④

## რამაზ საყვარელიძე:

## „ოცნების“ თავმოუბმელობა არის ის თვისება, რის გამოც პარალელს შევარდნაძის ხელისუფლებასთან ავლებენ

## ფიქრეტ სადიხოვი:

## „სომხებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მიზანში ამოიღეს“!

⑦

## „დურუ ხუნჭუა, შეაგინე, მე შენ გელაპარაკები!!!“

⑥

# გამოცემის მე-100 წელი

# მიხეილ სააკაშვილს მართლმსაჯულება ელოდება!



**თუ სააკაშვილი ქვეყანაში დაბრუნებას გადაწყვეტს, მას მართლმსაჯულება ელოდება,** — ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებული ვიდეომიმართვასთან დაკავშირებით განაცხადა.

**„თუ სააკაშვილი ქვეყანაში დაბრუნებას გადაწყვეტს, მას მართლმსაჯულება ელოდება. ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი თუ აცნობიერებს რამე პასუხისმგებლობას, ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს საკუთარი ქვეყნის კანონების პატივისცემას და დაბრუნების შემთხვევაში, მას რაც ელოდება, ეს არის მოსამართლის მიერ გაცემული დაპატიმრების ბრძანება და პენიტენციურ დაწესებულებაში საკანი, სადაც, მისი პერიოდისგან განსხვავებით, პატიმრებს აღარ აწამებენ და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობებია“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

# მიშას ჩამოსვლას მივესალმებით, რადგან მატროსოვი ელოდება!

**„გადაწყვეტილებას მისი ჩამოსვლის შესახებ მივესალმებით, რადგან მატროსოვი დიდი ხანია, ელოდება, მაგრამ აქ არის რამდენიმე ასპექტი. რითი აპირებს ჩამოსვლას — ზღვით, ჰაერით თუ ხმელეთით, ეს ალბათ უნდა დაკონკრეტდეს“,** — ასე ეხმაურება უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია საქართველოს მესამე პრეზიდენტის განცხადებას.



**„მე ვფიქრობდი, რომ უფრო მეტად გულუხვი იქნებოდა პენსიებთან დაკავშირებით და 400 ლარი შეეძლო, რომ გაცილებით მეტი და სხვა ციფრი დაესახელებინა. ვნახოთ, პროცესი იქნება ალბათ უფრო აქტიური, ვითარებები იქნება სახალისო, ჩვენი მომხრეებიც უფრო კონსოლიდირებულები იქნებიან, ამას ახერხებს ხოლმე ეს ქოსატყუილა პოლიტიკოსი, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არც ერთხელ არ შეასრულა პირობა“,** — განაცხადა ქანთარიამ.

# დაჯარიმების წესი არ შეიცვლება და თუ არღვევ, უნდა დაჯარიმდე!

**ოპოზიციის ეჭვიანობა ყოველთვის საინტერესოა** — ასე უპასუხა თბილისის მერმა ჟურნალისტების კითხვას იმასთან დაკავშირებით, იგეგმება თუ არა პარკირების საფასურის გაზრდა, რასაც ოპოზიცია ვარაუდობს.

**„პრობლემა არ არსებობს და ყველანაირი მზადყოფნაა იმისთვის, რომ ტრანსპორტის კომპანიამ 10 აპრილიდან გადმოიბაროს და პარკირების მიმართულებით მოაწესრიგოს ქალაქში არსებული მდგომარეობა. და-**



**ჯარიმებებს რაც შეეხება, თუ არასწორად იქნება გაჩერებული ავტომობილი, დაჯარიმდება. რაც შეეხება გადაყვანას, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი არასწორადაა გაჩერებული და ხელს უშლის, აფერხებს მოძრაობას და არ იქნება ეს ისე, როგორც „სითი პარკის“ შემთხვევაში იყო, როცა გადაყვანილი ავტომანქანებიდან შემოსულ თანხებს, როგორც ბიზნესს ისე უყურებდნენ. კეთილსინდისიერად იმოქმედებს ტრანსპორტის კომპანია. დაჯარიმების წესი არ შეიცვლება და თუ არღვევ, უნდა დაჯარიმდე“,** — განაცხადა კალაძემ.

# საქართველო და თურქეთი ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას აღრმავებენ

**თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ინფორმაციით თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო და კომუნიკაციების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2 აპრილს, თბილისში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის სფეროში ორ ქვეყანას შორის R&D-ის (კვლევა და განვითარება) ფორმატში კოორდინაციის მექანიზმის შემუშავებას.**

აღნიშნულის ფარგლებში გამოვლინდება მზარდი R&D-ის პოტენციალის მქონე პროექტები, რომელიც ითვალისწინებს: ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლას, ერთობლივი საწარმოო პოტენციალისა და თანამედროვე ფინანსური მოდელების განვითარებას ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. ასევე, R&D-ისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, გარკვეულ სფეროებში მოხდება სახელმწიფოს-საგანმანათლებლო-სამრეწველო სექტორებს შორის თანამშრომლობის განვითარება და განათლების პროგრამების დაგეგმვა.



# სახელმწიფო მეწარმეებს ეხმარება

**მარტის მონაცემებით მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც გვყავს 8 412 ბენეფიციარი.**

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

ახალი ეტაპის ფარგლებში, ყველა გამარჯვებული ბენეფიციარი გამოვლენილია და დაწყებულია ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება.

პარალელურად მიმდინარეობს თანადაფინანსების პროცესიც, რომელიც ოქტომბრის თვის ბოლოს დაიწყო და ჯამში დღევანდელი დღის მდგომარეობით დაფინანსებულია 865 პროექტი.

# მხარდაჭერილია 344 პროექტი



**მარტის მონაცემებით პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, კერძოდ ინდუსტრიული, სოფლის მეურნეობის, სასტუმროს და ქონების გადაცემის კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერილია 344 პროექტი, ინვესტიციის ჯამური მოცულობა 850 მლნ ლარს აღემატება, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 14 000-ზე მეტ ადამიანს შეადგენს.**

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს.

# ახალი ქართული ავიაკომპანია ავიაბაზარზე

**ავიაბაზარზე ოპერირება ახალმა ქართულმა ავიაკომპანია My Way Airlines-მა დაიწყო, რომელმაც პირველი ჩარტერული რეისი თბილისი-თეირანის მიმართულებით შეასრულა. ქართული ავიაკომპანია ბაზარზე რეგულარული ფრენების დაწყებას 2018 მაისიდან გეგმავს. პირველ ეტაპზე ფრენები 5 მიმართულებით შესრულდება. წლის გამმავლობაში კი რეისების რაოდენობა ეტაპობრივად 10 მიმართულებით გაიზრდება.**

ამ ეტაპზე ავიაკომპანიაში 100-მდე ადამიანია დასაქმებული. მარშრუტების ზრდასთან ერთად დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება და წლის ბოლომდე კომპანიას 250 თანამშრომელი ეყოლება.

**„მივესალმებით, საქართველოში ახალი ქართული ავიაკომპანიის ოპერირებას, რომლის გუნდიც მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებული. კომპანიას აქვს სამწლიანი გეგმა. მისი მთავარი ამოცანაა სამი წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1500-მდე გაზარდოს, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ჯანსაღ კონკურენციას ქართულ ავიაბაზარზე“,** — განაცხადა „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ბიზნეს-განვითარების მენეჯერმა დეა მაჭავარიანმა.

# „ოცნების“ ხელისუფლებავ! იკითხეთ გაზეთები და ისწავლეთ ქვეყნის მართვა!



**„ხშირად მასმედია არ აშუქებს გაკეთებულ საქმეებს. დღეს, მოგეხსენებათ, მოდაშია ნეგატივი და ხშირად ადამიანებმა, სამწუხაროდ, არ იციან თუნდაც მეზობელ სოფელში თუ ქალაქში გაკეთებული საქმის შესახებ“,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარტია „ქართული ოცნების“ რუსთავის საოლქო ორგანიზაციის კონფერენციაზე განაცხადა.

**„ამ ხალხს ინფორმაციის მიღება არ უნდათ... აღმოჩნდა რომ თქვენ ინფორმაცია არ გაქვთ და არც გინდათ ინფორმაცია მიიღოთ“ —** ირაკლი კობახიძე (2017 წლის 15 მაისი).

მოდი და ნუ გაგიკვირდება ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება მედიასთან. დამოკიდებულება, რომელიც თავშივე ახშობს ნამდვილი მედიის განცალკევებას, პოლიტიკური ორგანიზაციის პროპაგანდის განყოფილებისგან და ამ უკანასკნელს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

მილიონჯერ მაქვს ნათქვამი და დაწერილი — ბეჭდურ მედიას მიხედეთ-მეთქი!

მაგალითისთვის მოგიყვან ჩემს პოსტს, რომელიც 2017 წლის 30 მაისს სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე:

**„ვინ მოგახსენათ, რომ ინფორმაციის მიღება არ გვინდა? ძალიანაც გვინდა, მაგრამ ვინ გვაწვდის ამ ინფორმაციას? ე.წ. არასამთავრობოები და ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც „რუსთავი-2“-ის ეთერში შედარებით ვრცელი და სხვა ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებებში 5-წამიანი კომენტარებით კმაყოფილდებიან და რომლებსაც შემდეგ ხან ჯულიეტოვნა და ხან ვანო ჯავახიშვილი საკუთარი ინტერპრეტაციით ავრცელებენ.**

**ძვირფასო ხელისუფალნო, ბეჭდური მედიის შესახებ საერთოდ რაიმე გსმენიათ? ნუთუ არ შეგეძლოთ, რომ ბიუჯეტიდან სხვადასხვა სისულელეების დაფინანსების ნაცვლად დაგებეჭდათ კონსტიტუციის პროექტი, გაგეკეთებინათ თქვენი ამომწურავი განმარტებები და საზოგადოებისთვის მიგეცათ საშუალება, არა ფაციფუცში, არამედ მშვიდად გაცნობოდა იმ ცვლილებებს, რომლებსაც გვთავაზობთ?**

**დიახ, მე მინდა ვიცნობდე იმ უმაღლესი კანონის პროექტს, რომლითაც მე და ჩემმა შვილებმა უნდა ვიცხოვროთ. თქვენ შეიძლება სადმე თბილ ქვეყნებში აპირებთ გადაფრენას, მაგრამ მე და ჩემი ახლობლები, ჩემი სამშობლოს შვილები, აქ, ამ ქვეყანაში ვაპირებთ სამუდამოდ დარჩენას.**

კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო ე.წ. პოლიტიკოსებს:

ცხადია, არაფერს გეტყვით არც ეკონომიკაზე, არც საერთაშორისო ურთიერთობებზე და არც ხაშურში კოსმოდრომის აგების პერსპექტივებზე. „ცხადია“, რომ ეს თქვენ „ძალიან კარგად“ იცით. თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ბეჭდურ მედიაზე, რომელიც ძალიან კარგად ვიცი (დამერწმუნეთ იმაზე უკეთ, ვიდრე თქვენ ქვეყნის მოწყობის საკითხები), რომელსაც საკმაოდ დიდ „იგნორს უკეთებთ“ და მონური მორჩილებით შესცქერით ელექტრონულ მედიას.

თავს უფლებას მივცემ, გითხრათ, რომ ის ხუთწამიანი „ვაშა“!, „ძირს“!, „არ ვარგა“! საზოგადოებაში არანაირ კვალს არ ტოვებს და მოსახლეობის მახსოვრობის ზუსტად იმდენივე პროცენტს იკავებს, რამდენი პროცენტი გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდა კუბლაშვილის სასამართლოს. დამერწმუნეთ, რომ იმ ელექტრონული მედიის წყალობით, თქვენზე მეტად პოპულარული სავაშ ბალდარი და „სტეფანე“ არიან, რადგანაც ადამიანებს საღამოობით თქვენს ნახვას რაიმე გასართობი გადაცემების ნახვა ურჩევნიათ. სწორედ ამიტომაა, რომ ნაცმოძრაობა ამას კარგად იყენებს და თავის პროპაგანდას, სწორედაც ე.წ. „გასართობი გადაცემების“ მეშვეობით ახორციელებს, ხოლო სოციალურად აქტიური ადამიანებისთვის აქვს სხვადასხვა პოლიტიკური გადაცემები, რომლებსაც დღევანდელ სატელევიზიო სივრცეში არსებული სპექტრის გამო, ფაქტობრივად, ვერავინ დაამარცხებს.

იხ. 6 გვ.

# გიხაროდეთ, პენსია 400 ლარი გახდება!..



**ამ გულუხვ დაპირებას ჩვენი ყოყოჩა ნაცები იძლევიან — მოგვეცით ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსვლის შანსი და მობრუნებისთანავე პენსიას 400 ლარამდე გავზრდითო. არა მგონია, იმ რბევა-ნგრევის შემდეგ, რაც მათ მმართველობის პერიოდში ქვეყანას სწიეს, ძაღლთაპირი ნაცების ცრუ ყრანტალს კიდევ ვინმემ დაუჯეროს (ან თავად დაიჯერონ), მაგრამ, რადგან ტყუილი ერთხელ უკვე გაუვიდათ, იმავე ხერხით მეორედაც ხომ უნდა იმამაძაღლონ? ეტყობა, ამიტომაც დაძრწის დაგეშილი მეძებარივით ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ აყლაყუდა ნიკანორ მელია, რომელიც მოჰკრავს თუ არა თვალს რომელიმე ნაშიმშილარ პენსიონერს, უმალ მელიასავით წამოეპარება, „დახმარების ხელს“ გაუწვდის და წაელაქუცება: გინდათ, ჩემო კარგო, ბედსა გწიოთ? მომავალ არჩევნებში ხმა ჩვენ მოგვეცით, ამ უქნარა ხელისუფლებას შაბზე გავისტუმრებთ, სკამებზე წამოსკუპებისთანავე თქვენ მოგხედავთ და იმ სამათხოვრო 180 ლარის ნაცვლად, ყოველთვიურად ჯიბეში 400 ლარს ჩაგიცურებთო.**

ვერაფერს დაუწუნებ, გულისშემძვრელი დაპირებაა, არა, მკითხველო? მაგრამ ცრუპენტელა მიშნაცები რით აპირებენ ამ დაპირების შესრულებას, არ იკითხავთ? თურმე მკვდარი ეკონომიკის გაცოცხლებით, კორუფციის ალაგმვით, ჩინოვნიკებისთვის მაღალი ხელფასებისა და პრემია-დანამატების აკრძალვით. კი მაგრამ, თუ ისევ რაღაცას არ მამაძაღლობენ, რატომ არ იძლეოდნენ თავიანთი ზეობის წლებში 400-ლარიან პენსიას, როცა მათივე მტკიცებით, ეკონომიკაც აყვავებული ჰქონდათ, კორუფციაც მომსპარი და ხელფასებიც ისეთი მცირე, რომ სანახევროდ შიმშილობდნენ? იქნებ ამის თაობაზეც გვითხრათ ორიოდ სიტყვა ხალხზე ზრუნვით გაჭაღარავებულო ჩვენო ნაცბანდელებო?

ისე, კაცმა რომ თქვას, ნაცები პენსიების მოსალოდნელი ზრდით მაშინაც ბევრს ტრაბახობდნენ, როცა ხელისუფლების სათავეში ისხდნენ. ყველას კარგად გვახსოვს შარახვეტია სააკაშვილის მაშინდელი ბაქიბუქი — ხელისუფლებიდან მანამდე არ წავალ, ვიდრე პენსიას 100 დოლარამდე არ გავზრდიო. „ქართულმა ოცნებამ“ ნაცბელადს ეს შანსი ხელიდან გააგდებინა. რას ვიზამთ, არჩევნებში გამარჯვებულმა ივანიშვილის მთავრობამ სააკაშვილს კიდევ ბევრ რამეზე დასწყვიტა გული, მაგრამ, სამაგიეროდ, გაახარა ასაკოვანი ამომრჩეველი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, პენსიების მნიშვნელოვან ზრდასაც შეჰპირდა. **კერძოდ, ითქვა („ოცნების“ სხვა თავკაცებთან ერთად ბიძინა ივანიშვილის პირითაც), რომ პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო. ეს მაშინ, მაგრამ როგორც ექსპერტები აცხადებენ, ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 400 ლარს გადასცილდა.**

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ამ ორიოდე დღის წინათ ვაკის პარკში მოსმენილი პენსიონერთა სატკივარი. ადრინდელ 150 ლარს ვჩიოდით, სამყოფი არ არისო და ახლა ისიც სანატრელი გაგვიხდა — წუწუნებდა ოთხმოცს გადაცილებული პენსიონერი. **თუ მაშინდელი 150 ლარი 85 დოლარის ტოლფასი იყო, ფასებმა იმდენად იმატა, რომ ახლა ის 70 დოლარის ტოლი გახდა. გამოდის, რომ პენსია კი არ მომემატა, პირიქით, 15 დოლარით შემიმცირდა.**

— შენც ამბობ, რა! — აბუზღუნდა გვერდით მჯდომი პენსიონერი, — პენსია 30 ლარით კი არა, 50 ლარითაც რომ გაზრდილიყო, ლარის გაუფასურების გამო ყველაფერი ისეა გაძვირებული, რომ ადრინდელი მსყიდველობითი უნარი მაინც არ ექნებოდა. კაცი დავბერდი და ასეთი ცეცხლმოკიდებული აგრობაზარი ჯერ არ მინახავს.

— მარტო პროდუქტები გაძვირდა? — იკითხა წოწოლა პენსიონერმა, — აბა ახლა აფთიაქებში შეიხედეთ, რა ხდება. **ტელევიზიით გვარწმუნებენ, წამლები გაიაფდაო და ადგილზე რომ მიხვალ, გაორმაგებული ფასები გხვდება. იქიდან ხშირად ხელცარიელი ვბრუნდები. აბა რა ვქნა, შიმშილით სიკვდილს, ისევ უწამლოდ სიკვდილი მირჩევნია.**

ასეა, ცხოვრება დღითი დღე ძვირდება, რეალური საარსებო მინიმუმის გამოთვლა და შესაბამისი პენსიების დანიშვნა კი რატომღაც ჭიანურდება. არადა, ვიდრე „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა, საარსებო მინიმუმის პრობლემა ერთთავად პირზე ეკერათ. **მაშ, რა გაუჭირდათ, ვითომ საარსებო მინიმუმის დათვლას იმდენი თანხა სჭირდება, რომ ხაზინაში ვერ მოიძიეს? არა, ბატონებო, საქმე სხვა რამეშია. სინამდვილეში ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად პენსიების გაზრდა რომ მოუწევს(!)**

ჰოდა, მთავრობაც ვირეშმაკობს, მან მთელი ამ წლების მანძილზე ერთხელაც ვერ მოიცალა რეალური საარსებო მინიმუმის დასათვლელად, მაშინ, როდესაც საკუთარ კეთილდღეობაზე, ხელფასებისა და პრემია-დანამატების ზრდაზე ზრუნვა ერთი დღითაც არ შეუნელებია. აქ არ შევუდგები იმის ჩამოთვლას, ხელისუფლების ცალკეულ შტოებში რა რაოდენობის პრემიები და სახელფასო დანამატები ჩამოირიგეს (ამაზე უამრავჯერ დაიწერა და აღარ მინდა, მკითხველს ნერვები დამატებით დავაწყვეტო), მაგრამ ზოგ ნაშანდობლივ ფაქტს მაინც გავიხსენებ. თუნდაც იმას, რომ მარტო წელს საქართველოში ბიუროკრატიის შესანახავად დაახლოებით 2,6 მილიარდი ლარი დაიხარჯება, ან, გნებავთ, იმას, რომ ცესკოს, ინვესტიციების მოზიდვის საპარტნიორო ფონდის, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის და კიდევ სხვების ხელმძღვანელთა სახელფასო და საპრემიო შემოსავლები რამდენჯერმე აღემატება ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერის შემოსავლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სიბერეგამწარებულ პენსიონერზე, რომელსაც 180 ლარი ხშირად წამლების შესაძენადაც არ ყოფნის. ამ ფონზე ამაზრზენად გამოიყურება ხელისუფლების მხრიდან ზულუქ ჩინოვნიკთა პრემია-დანამატებით წახალისება, რომელსაც წახალისება კი არა, უფრო უზნეობა შეიძლება დავარქვათ, თანაც სახელმწიფო რანგში აყვანილი უზნეობა(!)**

> **მარტო წელს საქართველოში ბიუროკრატიის შესანახავად დაახლოებით 2,6 მილიარდი ლარი დაიხარჯება, ან, გნებავთ, იმას, რომ ცესკოს, ინვესტიციების მოზიდვის საპარტნიორო ფონდის, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის და კიდევ სხვების ხელმძღვანელთა სახელფასო და საპრემიო შემოსავლები რამდენჯერმე აღემატება ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერის შემოსავლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სიბერეგამწარებულ პენსიონერზე, რომელსაც 180 ლარი ხშირად წამლების შესაძენადაც არ ყოფნის. ამ ფონზე ამაზრზენად გამოიყურება ხელისუფლების მხრიდან ზულუქ ჩინოვნიკთა პრემია-დანამატებით წახალისება, რომელსაც წახალისება კი არა, უფრო უზნეობა შეიძლება დავარქვათ, თანაც სახელმწიფო რანგში აყვანილი უზნეობა(!)**

ამ „შთამბეჭდავი“ სურათის შემყურეს, სურვილი მიჩნდება, ქვეყნის პრეზიდენტ მარგველაშვილს, პრემიერ კვირიკაშვილსა და პარლამენტის სპიკერ კობახიძეს, როცა ისინი საერთაშორისო ფორუმზე გამოსვლისას თავს იწონებენ რეგიონში ეკონომიკური ზრდის 4,4-პროცენტიანი მაჩვენებლით (ამ დროს სომხეთის ეკონომიკა 7,7 პროცენტით არის გაზრდილი), გატარებული რეფორმების ეფექტიანობითა და დემოკრატიის მაღალი ხარისხით, შევეკითხო: **რამდენად ჯდება მიღწევათა ამ ნუსხაში ღორმუცელა ჩინოვნიკების და მშიერ პენსიონერთა შემოსავლების თანაფარდობა, ან თუნდაც შრომითი სტაჟისა და დამსახურების გაუთვალისწინებლად, ღვაწლმოსილი მეცნიერისა და ქარხნის მუშის პენსიის ოდენობის გათანაბრება კრიმინალური ავტორიტეტების პენსიასთან, რომელთაც ქურდობისა და მზაკვრობის გარდა მთელი ცხოვრება არაფერი უკეთებიათ(!). მსგავსი შეკითხვა, ალბათ, „ლიბერთი ბანკის“ მეპატრონეებსაც არ აწყენდათ: რა ნამუსით ახდევინებენ გაჭირვებულ პენსიონერებს პროცენტებს ავანსად გაცემული პენსიისთვის? თუმცა, პენსიონერს რომ თავისივე პენსიას სესხად მისცემენ და მერე იქიდან პროცენტს ააფცქვნიან, იმ ბანკირებთან რა ნამუსზე შეიძლება ლაპარაკი?**

რა შეიძლება იყოს შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი? მთავრობაში ამის თაობაზე ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, იმდენი იხლაფორთეს, რომ გამოსავალს მიაგნეს — საპენსიო რეფორმას. ასეთი რეფორმის პროგრამაც შეიმუშავეს, რომელიც საქართველოსთვის აქამდე უცნობი მოდელია და საპენსიო ფონდში დაქირავებით დასაქმებულთათვის ინდივიდუალურად სავალდებულო შენატანების დაგროვებას გულისხმობს. მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ დასაქმებული ადამიანები საკუთარი ხელფასის 2 პროცენტს ყოველთვიურად გადარიცხავენ ფონდში და დაგროვილი თანხის მიღებას დაიწყებენ საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ.

მოკლედ, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლებამ საბიუჯეტო გასაჭირიდან თავის დასაღწევად მშვენიერ გამოსავალს მიაგნო: დასაქმებული ადამიანები საკუთარი შემოსავლებიდან შექმნიან ფონდს, საიდანაც მოხუცებულობის ასაკში თავიანთ ცხოვრებას თავადვე დააფინანსებენ. აბა, როგორ, ბატონებო, თავს იმართლებენ „ეკონომიკის მამები“, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ასეა და ასევე იქნება ჩვენთანაცო. მაგრამ რატომღაც იმას აღარ ითვლიან, რამდენია დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში და რამდენია ეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. არ უნდათ გამოტყდნენ, რომ ასეთთა რაოდენობა ქვეყანაში ძალზე მცირეა თვითდასაქმებულთა რაოდენობასთან შედარებით, და შესაბამისად, ისინი ვერ ჩაერთვებიან საპენსიო სისტემაში. არც იმას ითვალისწინებენ, რომ დასაქმებულთა დავალდებულება — საპენსიო ფონდში მიმართონ თავიანთი ანაზღაურების 2 პროცენტი, ფაქტობრივად, გადასახადის ხასიათს ატარებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

თავს ნუ მოვიტყუებთ, ეკონომიკურად ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მსგავსი საპენსიო სისტემა ვერც მომავალ პენსიონერებს წაადგებათ და ვერც ამჟამინდელს, რომელნიც, როგორც ჩანს, თამაშგარე სივრცეში არიან ჩარჩენილი. ამ უკანასკნელთ დანიშნული აქვთ საბაზისო პენსია, რომელიც მნიშვნელოვნად ვერ გაიზრდება. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, შემუშავდება პენსიის ინდექსიზაციის მექანიზმი, რათა როგორმე შენარჩუნდეს მისი მსყიდველუნარიანობა. ასე რომ, **დღევანდელი მშიერი პენსიონერები რეფორმის შემდეგაც მშივრები დარჩებიან, ხოლო მომავალ პენსიონერებს, რომლებსაც დაგროვებითი პენსიის სიკეთით აიმედებენ, ექსპერტები მაინცდამაინც ღირსეულ სიბერეს ვერ უწინასწარმეტყველებენ.**

**აბა რა ვქნათო, თავს ისაწყლებენ ხელისუფალნი (ივანიშვილი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დუმილს ამჯობინებს), ჩვენი შემოსავლებიდან კაპიკს ვერ მოვიკლებთ, პენსიონერთა რაოდენობა კი ისეთი გეომეტრიული პროგრესით იზრდება, მათი პენსიების ზრდას ვერავითარი საბიუჯეტო სახსრები ვერ აუთავდებაო. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ჩვენო სიბერეგამწარებულო პენსიონერებო, შედით მთავრობის მძიმე მდგომარეობაში, გაუფრთხილდით საბიუჯეტო თანხებს, მშიერ მუცელზე კიდევ უფრო მაგრად მოიჭირეთ ქამრები, მოეშვით პენსიების ყოველწლიურ ზრდაზე ოცნებას და წამლების ფასების დაწევაზე გაუთავებელ წუწუნს. ბოლოს და ბოლოს, შეეგუეთ იმას, რომ არსებობის შენარჩუნებისთვის ხელისუფლებისგან თქვენ იღებთ მწირ შემწეობას და არა გაწეული შრომისთვის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დანიშნულ ღირსეულ პენსიას.**



**ოთარ ხუციშვილი.**
ტელ: 599-48-25-27

## რედაქციისგან:

**ამ წერილის ავტორს დღეს დაბადების დღე აქვს. მზისგულა, ღიმილიანი, იუმორით სავსე ოთარ ხუციშვილი თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის უბერებელი ვარსკვლავია, ნამდვილად თვალადური სიტყვის მფლობელი, დიდი ოჯახისა და სამეგობროს პატრონი, სულიერად უტეხი, მხნე, მხარში მდგომი, თითით საჩვენებელი კაცი...**

**გილოცავთ, ჩვენო ოთარ!**



# რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ თავმოუბმელობა არის ის თვისება, რის გამოც პარალელს შევარდნაძის ხელისუფლებასთან ავლებენ

**საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილება განხორციელდა. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მისი გადადგომის ტაიმერი მინიმუმ რამდენიმე წელი არ დარეკავს. ამის მიუხედავად, გიორგი კვირიკაშვილის, რომელსაც აშშ ლობირებს და ღიად უჭერს მხარს, უკვე სახელდება შემცვლელები — გიორგი გახარია და მამუკა ბახტაძე. თუმცა, არ არის გამორიცხული პოლიტიკურ ველზე მესამე და ამჯერად ახალი მოთამაშე შემოვიდეს.**

**დარეკავს თუ არა კვირიკაშვილის ტაიმერი და რატომ არის მომგებიანი, გიორგი კვირიკაშვილის ფიგურა? ამ საკითხებთან დაკავშირებით დღეს ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.**

**9 წელიწადის არგუმენტი უფრო და უფრო სუსტდება. თან სუსტდება იმის პარალელურად, რომ სუსტდება „ნაციონალური მოძრაობა“, არ აღიქმება იმ პოლიტიკურ ძალად, რომელიც შეიძლება მოვიდეს ხელისუფლებაში. ამდენად, მოსახლეობის იმით დაშინება, რომ თუ მე არ ამირჩევ, ნაციონალები მოვლენო, უკვე ქმედითი არ არის. სხვა იმიჯი, სხვა ხერხი და ნაბიჯი არის გადასადგმელი საიმისოდ, რომ მომავალი არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს. ამის გრძნობა მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის!**

**— როგორ ფიქრობთ, სამთავრობო ცვლილების აუცილებლობა დადგა? ვრცელდება ინფორმაცია მმართველ გუნდს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, რომელიც შესაძლოა, სამთავრობო ცვლილებით დასრულდეს. კვირიკაშვილის უკან დგას ფინანსური რესურსი მამუკა ხაზარაძის სახით, თავის მხრივ ხაზარაძესთან დაპირისპირება აქვს ბიძინა ივანიშვილს. მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, კვირიკაშვილ-ივანიშვილს შორის უკმაყოფილების მიზეზი გახდა ხაზარაძისთვის ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩართვა, რომელსაც დღემდე ეს ვალდებულება არ შეუსრულებია. პრობლემები სახეზეა და როდესაც კეთდება შედარება, ამბობენ, რომ ეს პერიოდი ძალიან ჰგავს პერიოდს, როდესაც შევარდნაძის მმართველობა დასასრულს უახლოვდებოდა...**

— თქვენ რამდენიმე ისეთი მომენტი ახსენეთ, რომელიც გარე დამკვირვებლისთვის თვალში საცემი არ არის. შიგნით უფრო იციან ეკონომიკურ სფეროში რამდენად მოწესრიგებულია სიტუცია. ჩვენთვის მაინც უფრო პოლიტიკური ნაბიჯები არის ცხადი. თუ ეკონომიკურ სფეროში პრობლემებია, ბუნებრივია, სამთავრობო ცვლილება საჭიროა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია, რახან საზოგადოებაში არის განწყობა, რომ ე.წ. ზასტოია და თქვენ მაგალითად მოიყვანეთ 2003 წელი, შევარდნაძის პერიოდი, ანალოგიური მაგალითები ხშირია, როცა მოსახლეობას უნდა ცვლილება. მარტო იმიტომ არა, რომ ცუდია, იმიტომ, რომ კარგის პერსპექტივა არ ჩანს, ან საერთოდ გაუგებარია საით მიდის ქვეყანა და რას აკეთებს. თუკი საზოგადოებაში ასეთი განწყობილება არის, იდეალურიც რომ იყოს ხელმძღვანელი, მოსახლეობის განწყობილება თავისას შვრება. შეგახსენებთ, მეორე მსოფლიო ომში კოალიციის ერთ-ერთი წარმატების ავტორი იყო ჩერჩილი, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ, ინგლისის მოსახლეობამ გადაწყვიტა მისი შეცვლა. ამ ცვლილებას თავისებური მიზეზები ჰქონდა. მათ ძალიან დიდი ხანი მოუწიათ ჩერჩილის რეჟიმში ყოფნა. როცა რაღაცა დიდხანს გრძელდება, წარმატების შემთხვევაშიც კი, ტენდენცია ცვლილებისკენ არის.

**— ქართველ საზოგადოებაში არის ცვლილებისკენ ტენდენცია?**

— საზოგადოებაში თუ ცვლილებისკენ ტენდენცია არის, ჯობია, ხელისუფლებამ თვითონ განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილების ეს სურვილი საზოგადოებას რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალაზე ააღებინებს ორიენტაციას და ნებისმიერი ავანტიურისტი შეიძლება, მიმზიდველი აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის. ამდენად, განწყობილების ის ფონი, რასაც დღეს თითქმის ყველა ვგრძნობთ, ალბათ, ამართლებს იმას, რომ მოხდეს არსებითი ცვლილებები — საზოგადოებაში იყოს განცდა იმისა, რომ ცვლილებები არსებითია და შემდეგ ამ ფონზე განვითარდეს პოლიტიკური ცხოვრება. საზოგადოების დამოკიდებულება უკვე აყენებს ცვლილებების საჭიროებას. იქნება ეს ცვლილებები პრემიერის დონეზე თუ კონკრეტული მინისტრების დონეზე, ეს უკვე დამოკიდებულია იმაზე, როგორ აეწყობა ცვლილებების სამზარეულო. მე მიმაჩნია, რომ კვირიკაშვილი მომგებიანი ფიგურაა როგორც დასავლეთთან ურთიერთობაში, ასევე შიდა სტაბილურობისთვის. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ კვირიკაშვილის დარჩენა არსებით ცვლილებად არ იქნას აღქმული. მთავარია, გადადგმული ნაბიჯები აღქმული იყოს როგორც ცვლილება და ეს ნაბიჯები უნდა გადაიდგას საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

**— და რატომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე?**

— იმიტომ, რომ მმართველმა გუნდმა კარგად წაიყვანოს საპრეზიდენტო არჩევნები. თითქოს პრეზიდენტი არ არის მნიშვნელოვანი ფიგურა და რომც წააგოს, დიდი დანაკლისი არ იქნება მმართველი გუნდისთვის, მაგრამ სიმბოლური დანაკლისი იქნება. თუკი წაგების დაღის ნიშანი დაედება მმართველ გუნდს, ეს მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ასე რომ, მმართველ გუნდს სჭირდება საპრეზიდენტო არჩევნების მოგება, ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება ისეთი ცვლილებების გატარება, რომელიც ოპტიმიზმს გააჩენს მმართველი გუნდის მიმართ. ამ კონტექსტში თუ დავუშვებთ ინფორმაციას, რომ არის მსჯელობა ცვლილებებზე, ეს მსჯელობა ლოგიკური მეჩვენება.

**— თუ არა პროამერიკული კვირიკაშვილი, რომელსაც ღიად უჭერს მხარს აშშ, მაშინ ვინ შეიძლება შეცვალოს და ვის შეიძლება არ აწყობდეს კვირიკაშვილი ხელისუფლებაში?**

— ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელი კითხვაა. ერთი რამე იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ვინც არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებაში, ის პროამერიკულ კურსს ვერ შეცვლის. ლოგიკურად, საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს. „პრო“-ებით თუ ვილაპარაკებთ, მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილის გუნდი პრორუსული იყო, მაგრამ რიტორიკა პროამერიკული ჰქონდა და ამერიკელებისთვის ძალიან მისაღები იყო საკმაოდ დიდხანს. ასე რომ, „პრო“ შეიძლება უფრო შთაბეჭდილება იყოს იმის თაობაზე, რა ორიენტაცია აქვს პოლიტიკოსს, მაგრამ, როცა სავარძელში ჯდება, იმ მიმართულებას მიჰყვება, რა მიმართულებითაც ქვეყანა ვითარდება.

**— ნიჰილიზმი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, გაჩნდა იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც იყო და მთავრობა ამ პრობლემებს ვერ აგვარებს. გვაქვს უმძიმესი ეკონომიკური და სოციალიური პრობლემები, მაგრამ გვყავს მაღალანაზღაურებადი საჯარო მოხელეები, რომლებიც ყოველთვიურად იღებენ დანამატს და საუბარია კოლოსალურ თანხებზე. ასეთი შეფასებაც კი გაჩნდა, ეს მთავრობა ქუჩაში არ კლავს, მაგრამ ადამიანებს ძარცვავს სააკაშვილის მსგავსად,. ანუ, ქვეყანაში იმატა სიღარიბემ. რითია ეს გამოწვეული — არაპროფესიონალიზმით, დილეტანტობით თუ პირადი კომფორტით?**

— პირად კომფორტს დიდი ჭკუა არ უნდა. ნებისმიერ ცოცხალ არსებას პირადი კომფორტის სურვილი აქვს. დანარჩენი თქვენ უკვე ძალიან კარგად და სწორად ჩამოთვალეთ. გაუბედავი ნაბიჯები ახასიათებდა თავიდანვე „ქართულ ოცნებას“, განსხვავებით „ნაციონალებისგან“, რომლებმაც გაბედულად აიღეს ხელისუფლება ხელში. მოქმედების ტემპი მაღალი ჰქონდათ და ამ ფონზე მკვეთრად გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ პასიურობა მოქმედებაში. ფაქტობრივად, არ არსებობს სფერო, სადაც მისი შემოსვლა შესამჩნევი და საგრძნობი იყოს. იგივე სამართლიანობის აღდგენა და სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა ავიღოთ, აშკარაა, რომ გაბედული ნაბიჯები ვერ გადაიდგა.

**— რა არის მიზეზი?**

— რა თქმა უნდა, დაბნეულობა, თუ რა უნდა გააკეთონ. ამ დაბნეულობის ფონზე იმის მცდელობა, რომ არაფერი არ დააშავონ! აი, ეს პასიურობა, რომ არაფერი დავაშავოთ და მოდით, მივყვეთ დინებას, არის ძირითადი ხარვეზი მთელი „ქართული ოცნების“ და, ალბათ, იმ პიროვნებების, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ ამ პოლიტიკის განმახორციელებლები არიან. ერთ-ერთი პრეტენზია მთავრობის მიმართ ეს გახლავთ.

რაც შეეხება მაღალ ხელფასებს და პლუსს დანამატებს, მახსოვს, როცა ბიძინა ივანიშვილი აქტიურად ერთვებოდა ქართული პოლიტიკის საკითხებში, ჰქონდა ამაზე რეაქცია, რა ამბავია ამხელა სხვაობაო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი გადამწყვეტი ფიგურა იყო, თავი ვერ მოაბეს იმას, რომ დაერეგულირებინათ და რაღაცა მისაღებ ჩარჩოში დაესვათ ეს თემა. თავი უნდა მოებათ არა მარტო იმიტომ, რომ მოსახლეობა ღიზიანდებოდა, არამედ იმიტომ, რომ მოსახლეობის გაღიზიანება მათ რეიტინგს აგდებს და მათ პერსპექტივას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, ეს თავმოუბმელობა არის ის თვისება, რის გამოც პარალელს ავლებენ შევარდნაძის ხელისუფლებასთან.

შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც თავმოუბმელობის გამო იყო პრობლემები იმავე კორუფციასთან დაკავშირებით. ის, რომ თვითონ შევარდნაძე კორუმპირებული არ იყო, გამოჩნდა კიდეც მერე მისი კრწანისში ყოფნის შედეგად. სამთავრობო სახლის გარდა არაფერი ჰქონდა. მაგრამ სხვების კორუფციას ველარ მოუარა და ამ სხვების კორუფციით აგორებულმა მოსახლოების უკმაყოფილების ტალღამ წალეკა მერე თვითონ შევარდნაძის ხელისუფლება.

**— ანალოგიური პროცესები შეიძლება განმეორდეს დღეს ქვეყანაში?**

— რასაკვირველია. თუ ხელისუფლებამ ვერ მოუარა ამ პრობლემებს, რომელზედაც მოსახლეობას მწვავე რეაქცია აქვს, თუ ეს რეაქცია გამოიყენა ნებისმიერმა პოპულისტურმა პოლიტიკოსმა, ამ შემთხვევაში შეიძლება, ის აღმოჩნდეს ავტორი მომავალი ტალღისა. ამ ტალღას წამოსწევს და ხელისუფლება აღმოჩნდება დარტყმის ქვეშ. მე მგონია, რომ სამთავრობო ცვლილების აუცილებლობაზე ფიქრის მიზეზიც ეს არის. „ქართული ოცნება“ ბრმა უნდა იყოს,

## ჯერ არ აშენებულა, მაგრამ...



**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია, რომელიც ამავე დროს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებს, აცხადებს, რომ უნივერსიტეტში სწავლა 2019 წელს უნდა დაიწყოს.**

**„აპრილში დაიწყება ადგილზე ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები, თუმცა აკადემიურ სფეროში მიმდინარე სამუშაოები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მიუნხენის უნივერსიტეტთან ერთად ვმუშაობთ პროგრამებზე, დღეს უკვე ცნობილია, რომ გვექნება მენეჯმენტის ფაკულტეტი, გვექნება მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტი, გვექნება განათლების მიმართულება, რომელიც გარდა იმისა, რომ სტუდენტებს მოამზადებს, იმუშავებს პედაგოგების გადამზადებაზე. ჩვენი პრინციპული ამოცანაა სწავლა დავიწყოთ 2019 წელს“, — განაცხადა თემურ მურღულიამ. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.**

რომ ვერ ამჩნევდეს ყოველ არჩევნებზე როგორ უჭირს წარმატების მიღწევა.

9 წელიწადის არგუმენტი უფრო და უფრო სუსტდება. თან სუსტდება იმის პარალელურად, რომ სუსტდება „ნაციონალური მოძრაობა“, არ აღიქმება იმ პოლიტიკურ ძალად, რომელიც შეიძლება მოვიდეს ხელისუფლებაში. ამდენად, მოსახლეობის იმით დაშინება, რომ თუ მე არ ამირჩევ, ნაციონალები მოვლენო, უკვე ქმედითი არ არის. სხვა იმიჯი, სხვა ხერხი და ნაბიჯი არის გადასადგმელი საიმისოდ, რომ მომავალი არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს. ამის გრძნობა მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის!

**— რაც შეეხება საკადრო ცვლილებას — გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელად განიხილება მამუკა ბახტაძე და გიორგი გახარია. მაგრამ გამორიცხავთ მესამე პირის შემოსვლას, რომელსაც საზოგადოება არ ელოდება?**

— კვირიკაშვილმა არა მარტო ამერიკულ, არამედ ქართველ საზოგადოებაშიც დაიმსახურა სიმპათიები, სჯერათ მისი სიტყვის, მისი გაწონასწორებული სიტყვის და მისი გინებაც კი მოსწონთ, უი, ემოციები ჰქონიაო. კვირიკაშვილის ფიგურაზე უარის თქმა, მეეჭვება, რომ სწორი იყოს. არ არის გამორიცხული, რომ მოიძებნოს სხვა მექანიზმები. ვიცით ხოლმე, როცა პირველი ფიგურა თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ყალიბდება მოადგილეების ინსტიტუტი, რომელთა კისერზე გადადის ორგანიზაციული, თუ სხვა ისეთი საკითხები, რომლის მოგვარება აუცილებელია. თუ მაინცდამაინც პირველი პირია შესაცვლელი, მეეჭვება, რომ ამ შეცვლის კანდიდატურა მოულოდნელად გაჩენილი ფიგურა იყოს. თანაც მეეჭვება, რომ ეს მომგებიანი იყოს, რადგან ამ ცვლილებამ უნდა შექმნას გარკვეული იმიჯი, ანუ ცვლილებას თავისი პიარ-ფუნქცია გააჩნია, ეს ცვლილება არის მოსახლეობისთვის იმის თქმა, რომ მე ვაპირებ უკეთესობას. თუკი ეს მესამე ფიგურა უცნობი იქნა, ასეთი ნათქვამი გაუგებარი იქნება, რისკენ არის გადადგმული ნაბიჯი. ერთადერთი მესამე ფიგურა, რომელსაც საზოგადოება იცნობს და მეტ-ნაკლებად პოზიტიურად არის განწყობილი, არის კახი კალაძე. მეეჭვება, რომ მერის ადგილის განთავისუფლება მიზანშეწონილი იყოს „ოცნებისთვის“, მაშინვე იქნება საუბარი იმაზე, რომ საკადრო რესურსი არ აქვს და აგერ არჩეული მერი გადაიყვანა პრემიერადო.

**— დარჩენილი ორი ფიგურიდან, რომელს აქვს შანსი, გახდეს მთავრობის პირველი პირი?**

— მეეჭვება, რომ ბახტაძის პერსპექტივები მაღალი იყოს. იმიტომ, რომ საზოგადოების თვალში იშვიათად ხვდება და მისი რეიტინგი არ არის იმის საპირწონე, რომ მისმა დანიშვნამ სიახლეების მოლოდინი გააჩინოს. ამ მხრივ უკეთესად გამოიყურება გახარიას კანდიდატურა. მან ენერგიულად დაიწყო მოქმედება. ის ენერგეულობა, რომლის დეფიციტსაც გრძნობენ „ქართულ ოცნებაში“, გახარიას საქმეში ნამდვილად ჩანს. გახარიას წინ წამოწევით შეიძლება გაჩნდეს იმის განცდა საზოგადოებაში, რომ ენერგულობის და საქმის კეთებისკენ აიღო ორიენტაცია „ქართულმა ოცნებამ“.

ვეთანხმები აზრს, რომ, რადგან ამ ფიგურებზე დიდი ლაპარაკია, დიდი შანსია, რომ პარტიამ ახალი ფიგურა დადოს, რომელიც საერთოდ არ იყო მსჯელობის საგანი და ამ მოულოდნელობით სცადოს რაღაცა ნაბიჯების გადადგმა. მაგრამ ვიმეორებ, მთავრობის ცვლილებას ის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოებამ დაიჯეროს „ქართული ოცნების“ სტილის შეცვლა, რის მიმართაც აქვთ პრეტენზია.

**— „ოცნების“ ერთ-ერთი ხარვეზი, ალბათ, ისიც არის, რომ შიდა დინამიკა პოლიტიკურ პარტიას არ გააჩნია?**

— რა თქმა უნდა. თქვენ ახსენეთ პიარი და პიარის კონცეფციის უქონლობა არის ერთ-ერთი მიზეზი. გამორიცხული არ არის, მედიასთან ურთიერთობას თავს არიდებენ იმიტომ, რომ მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ამა თუ იმ სიტუაციაში რა უნდა ითქვას, რა არ უნდა ითქვას და ა.შ. ეს სირთულეები „ქართულ ოცნებას“ სულ მოსდევდა. მოსახლეობასთან თუ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უმწეოდ რომ არ იგრძნონ თავი, ამაზე შიდა პოლიტიკურმა გუნდმა უნდა იზრუნოს და შექმნას ის პიარმანქანა, რომლის გარეშე პოლიტიკაში წარმატება შეუძლებელია.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# კახეთში ვანდალური ფაქტები გახშირდა!



**კახეთში ვანდალური ფაქტები გახშირდა. დაზიანებულია შადრევნები და განადგურებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაწილი. რატომ არ ჰყავს მილიონიან პროექტებს მეთვალყურეები ან რატომ არ ხდება ვიდეოთვალთვალი? ვინ უშველის მენტალურ პრობლემებს?**

დასასვენებელი პარკები და საბავშვო ატრაქციონები, რომლებიც კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს და პერიოდულად მათი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ხდება, უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებულია. მწყობრიდან არის გამოსული შადრევნები, დამტვრეულია სკამები და ნაგვის ურნები. განადგურებულია ასევე პარკებში დამონტაჟებული განათების მოწყობილობები. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა ცოტა ხნის წინათ გურჯაანში მოხდა. დიდების მემორიალთან რამდენიმე თვის წინათ მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა გაანადგურეს. დამტვრეულია ხის ჯიხური. გურჯაანის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **თემურ ბუწაშვილი** ამბობს, რომ ტერიტორიას დარაჯი აღარ ჰყავს, რის გამოც ვანდალური ფაქტები გახშირდა.

**„დიდების მემორიალს დღემდე არ ჰყავს დარაჯი. გაუშვეს იმ მიზეზით, რომ ეს ადამიანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მე მეხმარებოდა. ჩვენ შევთავაზეთ მერიას, რომ მემორიალის მთელ პერიმეტრზე განეთავსებინა სამეთვალყურეო კამერები. მერიამ გვითხრა, რომ იმსჯელებდა კამერების და დარაჯების საკითხზე, მაგრამ უკვე ერთი თვე გავიდა და აბსოლუტურად რეაგირების გარეშეა დარჩენილი. თუნდაც ამწუთას რომ მივიდე და დავაზიანო, არავინ ყურადღებას არ მომაქცევს“.**

დიდების მემორიალთან ვანდალური შემთხვევები რომ აღარ განმეორდეს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია გამოსავალს ორი მეთვალყურის დანიშვნაში ხედავს. რაც შეეხება სხვა ადგილებს, მერის მოადგილე **სიმონ ქოჩორაშვილის** თქმით, იგეგმება სათვალთვალო კამერების დამონტაჟება. ქოჩორაშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებაში მენტალური პრობლემებია და მუშაობა ამ კუთხითაც არის აუცილებელი.

**„ზედამხედველები უკვე შერჩეულია და დღეს იწერება ბრძანება. მათ დარაჯზე უფრო მეტი ფუნქციები ექნებათ, რომლებიც მიხედავენ მატერიალურ თემებსაც. სადაც ზედამხედველს ვერ დავნიშნავთ, ვაპირებთ ვიდეოკამერების განთავსებას. ვანდალიზმი არსად არ არის უცხო, მაგრამ ჩვენთან განსაკუთრებულად მაღალი დოზით არის და ამას მენტალობის ჩამოყალიბება სჭირდება“.**

გურჯაანი არ არის გამონაკლისი, სადაც საზოგადოებრივი მოხმარებისთვის შექმნილი ინფრასტრუქტურა თავად ხალხმა დააზიანა. თელავის ცენტრში განთავსებულ სკამებს ხის ფილები აქვს აცლილი, ლაგოდეხში კი შადრევანი და პატარებისთვის განკუთვნილი ატრაქციონებია დამტვრეული. ლაგოდეხში ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურმა ვიდეოკამერების დამონტაჟების გზით უნდა მოაგვაროს, ნაწილი კი ამბობს, რომ მოქალაქეთა თვითშეგნება უნდა გაიზარდოს, სხვა შემთხვევაში პრობლემა არ მოგვარდება: **„ჩვენ თუ არ ვიზრუნეთ და თუ არ გავუფრთხილდით ყველაფერს, რთულია შევინარჩუნოთ“;**

**„ვიდეოთვალი უნდა დააყენონ. მაგალითად, ლაგოდეხში ძველი აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი პატარა მაღაზია იყო და რვა თვალი ეყენა და ამხელა დასასვენებელ ადგილებს ერთი თვალი მაინც არ უნდა ჰქონდეს?. დაზიანების შემთხვევაში დამნაშავის გამოვლენა ასე ადვილი იქნება, რომელიც უნდა დააჯარიმონ ან შესაბამისად დასაჯონ, რათა ვანდალიზმი აღარ განმეორდეს“;**

**„მშობელმა უნდა მისცეს შვილს ის შეგნება, რომ არ დააზიანოს, არ გაანადგუროს, რადგან ხალხს ეკუთვნის და, შესაბამისად, მის შვილებსაც გამოადგებათ“.**

ლაგოდეხში სკვერის მშენებლობა, სადაც ახლა დაზიანებული შადრევანია, 2013 წელს ადგილობრივ ბიუჯეტს თითქმის ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. მერია დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას აპირებს. როგორც მერის მოადგილე **ალექსანდრე ჭანკოტაძემ** გვითხრა, პარალელურად მუშაობენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, რომ სკვერებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში ვიდეომეთვალყურეობა დაიწყოს.

**„დავიწყეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივად სათვალთვალო კამერების შეძენა. ეს უფრო დააზღვევს და ხელს შეუწყობს ვანდალური ფაქტების გამოვლენას და შემდგომში უკვე გარკვეული ზომების საშუალებას მისცემს შესაბამის ორგანოებს“.**

ლაგოდეხში შადრევანი, უკვე წლებია, დაზიანებულია, გურჯაანში კი შემთხვევა ახლახან მოხდა. დაწყებულია გამოძიებაც, თუმცა სავარაუდო დამნაშავე ჯერ არ უპოვიათ.

**გიორგი ალადაშვილი**





# სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე სამი საჯარო მოხელე პასუხისგებაში მისცეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სამი პირი პასუხისგებაში მისცეს.**

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტის დროს, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა, არასათანადოდ შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობები — არ გაუწიეს სათანადო კონტროლი და ინსპექტირება შესრულებულ სამუშაოებს. შედეგად, კონტრაქტორმა კომპანიამ ხელოვნურად გაზარდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, გამოიყენა უფრო დაბალი ხარისხის მასალა, რამაც საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება განაპირობა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

# უკანონო სახერხების ბუმი

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით 154 სახერხი საამქრო შეამოწმეს.**

დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის **დარღვევის 79 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 24 აჭარის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, 4 ფაქტი კახეთში დაფიქსირდა, 7 — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 15 ფაქტი სამცხე-ჯავახეთის სამოქმედო ტერიტორიაზე, აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე —13, ქვემო ქართლში — 2, ხოლო 1 — ქალაქ თბილისში. დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 2 ანგარიშგების წესებისა და 13 ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტი გამოავლინეს.**

აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე **ამოღებულია ლენტური და ცირკული ტიპის 6 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი დანადგარი, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლისა და დასავლეთის რეგიონული სამმართველოების თანამშრომლებმა 5-5 უკანონო სახერხი გამოავლინეს, 3 სახერხი დაილუქა კახეთში, 3 — სამცხე-ჯავახეთში, ხოლო აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1 დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს.** ჯამში, ამოღებულია 10 $м^3$-მდე უკანონო, პირველადი გადამუშავების პროდუქტი — ფიცარი, 52 ერთეული წიფლისა და 5 ერთეული მურყანის სახეობის უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე (მრგვალი მორი), ხოლო სახერხი დანადგარები დაილუქა.



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკომპრომისო ბრძოლას უცხადებს ხე-ტყის უკანონო ჭრას. აღნიშნულ სამართალდარღვევებზე გამკაცრებული სანქციების პარალელურად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურ მუშაობას აგრძელებენ მსგავსი ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად, ვინაიდან, უკანონო სახერხი საამქროების ფუნქციონირება ხელს უწყობს ხე-ტყით უკანონო სარგებლობას და არაერთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან არის დაკავშირებული.**

# „დურუ ხუნჭუა, შეაგინე, მე შენ გელაპარაკები!!!“

## გინება – სულის სიღარიბის მაჩვენებელი



**უცნაურ დროში ვცხოვრობთ: გინება გვესმის აქეთ-იქიდან, ტელეშოუებში თუ ბოლო დროს გადაღებულ ქართულ სერიალებში, დედაქალაქში გამართული ქუჩის მსვლელობების დროს თუ სასამართლოების წინ შეკრებილი და ურთიერთდაპირისპირებული ხალხის გაწევ-გამოწევაში, ჩხუბში და აყალმაყალში, შინ თუ გარეთ. იგინებიან დიდებიც და მოზარდებიც, ქალებმაც კი მოუხშირეს ბილწსიტყვაობას. ინტერნეტი, სოციალური ქსელები გადავსებულია უხამსი, უწმაწური სიტყვებით.**

**— ცხოვრებამ მოიტანა, — მეუბნება ერთი, სულიერად არცთუ ღარიბი ადამიანი. — მოდი და ნუ შეიგინები, როცა ამდენ უსამართლობას ხედავ, როცა ცხოვრება მუდმივად ძვირდება, ზნეობა და სულიერება ქვეითდება.** ყოველ სამ თვეში თუ არა, ყოველ ნახევარ წელიწადში იზრდება პროდუქტებზე ფასები მაღაზია-მარკეტებში თუ ბაზრობებზე, ასევე იმატებს ფასები მედიკამენტებზე და ბენზინზე. თითქმის ყოველწლიურად გვიმატებენ გაზის, დენის, ტელეფონის საგადასახადო ტარიფებს. აგერ ახლახან გამოაცხადეს, რომ მაგთიკომი და ჯეოსელი გაზრდიან ტარიფებს. **მოდი და ნუ შეიგინები,** როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ შერჩევითი სამართალია, მდიდრებისთვის სხვაა და ღარიბებისთვის — სხვა. როცა მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბები უფრო ღარიბდებიან. როცა ქვეყანაში შემოდის უამრავი გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტი და არ ვიცით, რას ვჭამთ და რას ვსვამთ. ასევე, როცა შემოდის უამრავი ფალსიფიცირებული წამალი და არ ვიცით, მოგვარჩენს თუ მოგვკლავს! (ეს იმიტომ, რომ ყველა დარგში მონოპოლისტები პარპაშობენ!) **მოდი და ნუ შეიგინები,** როცა ქვეყანაში ამდენი ნარკომანი გვყავს და მათ მიმართ ზომები კი არ მკაცრდება, პირიქით! როცა ევროპა-ატლანტიკური სივრციდან შემოდის უამრავი გახრწნილობა და ჩვენთან ჩანერგილი არასამთავრობოები ერთნაირსქესიანთა ქორწინების (და „ფუჩუს“ თავისუფლების“) პროპაგანდას ეწევიან. **მოდი და ნუ შეიგინები,** როცა მიგრაცია ისევ ჭარბობს იმიგრაციას და საქართველო ქართველებისგან ცარიელდება. როცა გაერომ ქართველი ერი მომაკვდავ ერად დაასახელა!

კიდევ მრავალი „როცა“ ჩამოთვალა ჩემმა თანამოსაუბრემ და ბოლოს ყველაფერ ამას ერთი „ცხრასართულიანი“ გინებაც მიაყოლა!

მართლაც, გინება ერთგვარი „სულიერი ჯანყია“ გარესინამდვილისადმი და ადამიანის თავისებურ „განმუხტვას“ იწვევს.

ალბათ, არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც როდისმე სადმე არ შეუგინებია, ისევე როგორც არ იქნება ქალი, რომელსაც წყევლა-კრულვა არ გაუგზავნია ვინმესთვის!

**მაგრამ გინებაცაა და გინებაც! გააჩნია, სად იგინები, ვისთან იგინები, რაზე და ვისზე იგინები, როგორ იგინები! როცა გინება სისტემატურ ჩვევად იქცევა, ეს უკვე სულის სიღარიბის მაჩვენებელია!**

ალბათ, ბევრს ახსოვს ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი **„რეკორდი“**. მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე რიყის ქვის სროლაში ერთ „მიამიტ“ პერსონაჟს რეკორდი ვერ დაამყარებინეს, სანამ მეორე ნაპირზე მყოფმა მას დედა არ შეაგინა! მაგრამ დავაკვირდეთ, როგორ არის ეს გადაწყვეტილი? ფილმში გინება ისმის? — არ ისმის! მხოლოდ მინიშნებაა, ან გინება ბოლომდე არ არის დამთავრებული. **სწორედ ეს არის რეჟისორის სულის კულტურა, ის პატივს სცემს მაყურებელს.** თანამედროვე ქართულ სერიალებში კი გინებების „გადმოფრქვევა“ არა მარტო თვითონ პერსონაჟების (და რეჟისორის) სულიერი სიღარიბის მაჩვენებელია, არამედ მაყურებლის შეურაცხყოფაცაა.

გინება, საერთოდ, სხვისი შეურაცხყოფისკენაა მიმართული. თავისი სიტყვიერი ფაქტურიდან გამომდინარე, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით გინებას ახლა ფაქტობრივად არავინ ხმარობს, მხოლოდ „ობიექტს“ ამცირებენ და შეურაცხყოფენ. „რეკორდში“ კი იმ „მიამიტმა“ პერსონაჟმა გინება თავდაპირველადი მნიშვნელობით გაიაზრა, ამიტომ „გამოვიდა“ წონასწორობიდან და ფსიქოლოგიურად აღგზნებულმა „რეკორდი“ დაამყარა. ფილმის შემქმნელებმა ადამიანის გრძნობების გამოვლენის უნიკალური **ფსიქოლოგიური სიტუაცია დაიჭირეს!**

ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა-ქეთელაურში“ ალუდა და მუცალი სასიკვდილო შეტაკებისაგან ერთმანეთს „რჯულ-ძაღლო“-თი მიმართავენ. ეს „რჯულ-ძაღლო“ გინებაზე უარესია, იმდენად შინაარსიანი და ყოვლისმთქმელია. კულტურული ადამიანი გინების თავდაპირველ ლექსიკურ ფაქტურას ყოველთვის ცვლის სხვა ფსიქოლოგიურად მძაფრი ხისტი სიტყვებით და მეტოქეზე ამით უფრო იმარჯვებს. **ასე უნდა მოვიქცეთ ყველანი, რომ არ ჩავვარდეთ უხერხულ მდგომარეობაში!**

პარადოქსულია, მაგრამ ზოგჯერ (ათასში — ერთხელ) ადამიანს გინება კიდეც „უხდება“, მაგრამ გააჩნია სიტუაციას, გააჩნია თვითონ ადამიანს, თუ რა „ტიპია“ იგი და რა „ტონით“ იგინება! მაგალითად, ფშაურ კაფიებში მოკაფიავეები ზოგჯერ გინებასაც გაურევდნენ, მაგრამ ისე დელიკატურად, ისე მოხდენილად შეურითმავდნენ სიტყვას, რომ გინების „მნიშვნელობა“ ყველას ავიწყდებოდა და ტაშითაც კი აჯილდოებდნენ მას. არც მეტოქეს სწყინდა.

ცნობილმა ფოლკლორისტმა **ვახუშტი კოტეტიშვილმა** ქართულ ხალხურ ფოლკლორში ის ლექსები შეკრიბა, სადაც სკაბრეზული სიტყვებია ნახმარი და ერთხელ ამისი „პოეზიის საღამოც“ ჩაატარა. გამოდიოდნენ მამაკაცები და დარბაზის წინაშე (სადაც ძალზე ბევრი ქალბატონიც იჯდა) ასეთ ლექსებს გამოთქმით ამბობდნენ, მაგრამ **საჯაროდ თქმის დროს** ამ ლექსებს დაკარგული ჰქონდათ თავდაპირველი იუმორის ხიბლი (ამისი ვიდეოფირიც არსებობს ინტერნეტში) და სკაბრეზული სიტყვები მხოლოდ შეურაცხმყოფელ განცდებს იწვევდა. ამიტომ ეს „საღამო“ არც უნდა ჩატარებულიყო და არც ვიდეოთი უნდა დაფიქსირებულიყო!

საერთოდ, გინება (როგორც წყევლა) მეცნიერ-ფსიქოლოგებისაგან აღიარებულია, რომ ადამიანის ფსიქიკის აურას ანგრევს და უარყოფითად მოქმედებს მასზე. იგი ხომ **კრიმინალთა ლექსიკის ნაწილია** და ამიტომ ყოველნაირად უნდა მოვერიდოთ მის ხმარებას. **რელიგიური თვალსაზრისით, იგი დიდი ცოდვაა.**

ლეგენდარული მსახიობი მედეა ჯაფარიძე იხსენებს: თეატრალურ ერთ-ერთ წარმოდგენაში ერთი მსახიობი „შობელძაღლოს“ ამბობდა (ასეთი როლი ჰქონდა), და ჩვენ სირცხვილით ვიწვოდითო?! აი, ასეთი იყო ქართველთა დამოკიდებულება უცენზურო სიტყვებისადმი.

როდესაც პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში ტელევიზიების თვალწინ „კეთილები შეუკურთხა“ მელიას, ყურებს არ ვუჯერებდით. ზოგმა პრემიერი გაამართლა. როგორ გეკადრებათ! **იგი ვალდებული იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მოეთმინა და ასეთ კურიოზულ სიტუაციაში არ ჩავარდნილიყო. ბატონ პრემიერს მხოლოდ ბოდიში კი არ უნდა მოეხადა, ალბათ, თანამდებობიდანაც უნდა გადამდგარიყო. ეს იქნებოდა ზნეობრივი აქტი და გაკვეთილი მთელი საქართველოსათვის.**

შემაშფოთებელია მოზარდების და სიმწიფის ასაკში შესული ახალგაზრდების „ლტოლვა“ უცენზურო სიტყვებისადმი (ძალზე ღარიბია სალაპარაკო ლექსიკაც). „ჩემი დედა“... ხშირად ისმის მათ საუბარში. ადრეც აღვნიშნე, რომ ასეთი, ისევ საკუთარი ერის შეურაცხმყოფელი გინება არც ერთი ერის ახალგაზრდობას არ ექნება მსოფლიოში. თვით პატარა ბავშვებსაც კი წამოსცდებათ ხოლმე „ვაი (აუ) ჩემი“... მაგრამ, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი ბავშვი გვყავს ისეთიც, რომლებიც ამის მთქმელს ეუბნებიან: „ნუ უზრდელობ!“

კარგია, რომ ოფიციალურად საქართველოში ფულადი ჯარიმა დაწესდა მგინებლებისთვის (იმდენი გინება გვესმის, რომ ბიუჯეტი ცოტათი მაინც შეივსება!). **მაგრამ მხოლოდ სანქციები საქმეს ვერ უშველის. მთავარია მოზარდების (და არა მარტო მოზარდების) სულიერი აღზრდა. მაგრამ როგორ აღვზარდოთ?!**

სწორედ ესაა ჩვენი დროის წყევლა-კრულვიანი საკითხავი...

**უჩა ჯანგირაშვილი,**
**ქ. ბორჯომი**

# „ოცნების“ ხელისუფლებავ! იკითხეთ გაზეთები და ისწავლეთ ქვეყნის მართვა!

(მეორე გვერდიდან)

მივმართავ ხელისუფლებას და მთელ პოლიტიკურ „ბომონდს“: ჯეროვანი ყურადღება მიაქციეთ ბეჭდურ მედიას. მიაქციეთ და გაითვალისწინეთ, რომ რუსეთის იმპერია გაზეთმა „ისკრამ“ დაანგრია, მოსკოვამდე „ფოლკიშერ ბეობახტერი“ მივიდა და „ვაშინგტონ პოსტს“ უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოს ნომერ პირველ სახელმწიფოზე.

ახლა არ თქვათ — სად ვაშინგტონ პოსტი და სად ქართული გაზეთებიო, რადგანაც გეტყვით — სად ამერიკელი პოლიტიკოსები და სად თქვენ! ანუ რაც ერი, ის ბერიო.

ყურადღება მიაქციეთ ბეჭდურ მედიას. მიაქციეთ, სანამ მას მართლაც ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმია თქვენთვის. დამერწმუნეთ, გაზეთს ადამიანი საღამოთი სახლში კითხულობს, წაკითხული ახსომდება და იმ გაზეთს სულ ცოტა ორი-სამი დღე ინახავს (განსაკუთრებით რეგიონებში), ხოლო ტელევიზიიდან თქვენ მიერ „წამოსროლილი ლოზუნგები“ ორი ყურის პრინციპით მუშაობს.

მივმართავ პოლიტიკოსებს, რომლებსაც „ფეისის ცნობადობა“ ცხოვრების და ე.წ. „პოლიტიკური მოღვაწეობის“ უმთავრესი არსი რომ ჰგონიათ და რაღაც შოუებში მონაწილეობას, აზრის გამოხატვის ყველაზე ბრწყინვალე საშუალებად თვლიან. თვლიან მაშინ, როცა იმ შოუში საეთერო დროის 70% წამყვანისაა, დარჩენილი 30%-იდან გარკვეული ნაწილი წამყვანის სიმპათიით განსაზღვრული ოპონენტის და მხოლოდ „ძირს“ ან „გაუმარჯოს“ ლოზუნგის სახით წამოყვირება რჩება მეზობელ სოფელში თუ ქალაქში გაკეთებული, ან გასაკეთებელი საქმეების შესახებ, ცხადია, არ გაშუქდება.

საინფორმაციო გამოშვებაში 5-წამიანი შეძახილი, რომელიც „ფორმატის“ გამო იჭრება, ვერასდროს მოიტანს ჯეროვან შედეგს.

ნებისმიერი პოლიტიკური თოქ-შოუს გასვლის მეორე დღეს, მაყურებლის რამდენ პროცენტს ახსოვს გინების გარდა, გადაცემის სტუმრის მიერ ნათქვამი, თუნდაც უჭკვიანესი ფრაზა?

სააკშვილმა გაანადგურა ქართული ბეჭდური მედია. გაანადგურა იმით, რომ გავრცელება შეზღუდა. მან საზოგადოებას მოუსპო პოლიტიკოსის იდეების გაცნობის, გააზრების საშუალება. ფასადური ღონისძიებებით გამოუტენა თავი და წაართვა რეალურად შეფასების, ზუსტი ინფორმაციის მიღების უფლება!

ცხადია, რომ ტელევიზიას და ინტერნეტს, გაზეთთან შედარებით ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებაში, უპირატესი მდგომარეობა აქვთ და ხშირად მესმის, რომ მალე გაზეთი აღარავის დასჭირდებაო.

ვერაფრით ვერ დავეთანხმები. როდესაც კინო გამოჩნდა, მაშინაც ვრცელდებოდა მოსაზრებები იმაზე, რომ ხალხი თეატრში აღარ ივლიდა და შემდგომ ამბობდნენ, რომ ტელევიზორი კინოს „შეჭამდა“.

როგორც ვნახეთ, ასე არ მოხდა და არც მოხდებოდა.

გაზეთში დაბეჭდილი სტატიით რესპონდენტი მკითხველთან, საზოგადოებასთან ერთი-ერთზე რჩება.

გაზეთი სულ სხვა ინსტიტუტია. დივანზე წამოწოლილი მკითხველი ცალი თვალით გახედავს ტელევიზორს და ისევ გაზეთს უბრუნდება. წაკითხული დიდხანს რჩება თავში. მეზობელთან ან თანამშრომელთან პოლიტიკური პროცესების გარჩევის დროს, პირდაპირ დაუდებს ფაქტს და არ სჭირდება ფრაზის თქმა — გადაახვიე და ნახავ.



ნეტა რამდენი ადამიანი ნახულობს გამოტოვებულ პოლიტიკურ გადაცემას „გადახვევით“?

სწორედ ამიტომაც ვამბობ: — ბეჭდურ მედიას მიხედეთ!

**გია გაბრიჭიძე**

პირდაპირ ვიტყვი, რომ სანამ საქართველოში არ დაინგრევა მოსახლეობისა და ხელისუფლების სნობისტური მიდგომა ისეთ მგრძნობიარე საკითხთან, როგორიცაა მედია, მანამდე ყოველთვის იქნება საშიშროება, რომ შეიქმნას ახალი „რუსთავი-2“ და საზოგადოება ვერასოდეს გაიგებს, თუ რა ხდება რეალურად მეზობელ სოფელსა თუ ქალაქში.

მეზობელი კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს

# „სომხებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მიზანში ამოიღეს“!

ინტერვიუ პოლიტოლოგ ფიქრეტ სადიხოვთან



რ**ოგორც** ცნობილია, ამას წინათ ამერიკელმა პროსომხურმა კონგრესმენებმა მთავრობას მოუწოდეს, რომ შეწყდეს ბიუჯეტიდან აზერბაიჯანისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფა და მის ნაცვლად დახმარება გაეზარდოს სომხეთს, მთიანი ყარაბაღის სეპარატისტულ რეჟიმს და საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, სადაც ნაწილობრივ სომხებიც ცხოვრობენ. ამ განცხადებით გამოვიდა ღია პროსომხური ორიენტაციის მქონე კონგრესმენი ბრედ შერმანიც. რა სურთ ამერიკელ სომხოფილ კანონმდებლებს? ამის შესახებ ინტერვიუში აზერბაიჯანულ გამოცემა „Азербайджанские известия“-სთან პროფესორი **ფიქრეტ სადიხოვი** საუბრობს:

**— რა მიზეზით მოუწოდებს პროსომხური კონგრესმენი ბრედ შერმანი საქართველოს იმ რეგიონის დაფინანსებას, რომელიც სომხებითაა დასახლებული?**

— კონგრესმენის განცხადებაში აშკარად შეინიშნება სომხური კვალი. ბრედ შერმანი კონგრესში აშშ-ის იმ რეგიონიდანაა არჩეული (კალიფორნია, ლოს-ანჟელესის 30-ე საარჩევნო ოლქი), სადაც ძლიერია არა მარტო სომხური ელექტორატი, არამედ სომხური ფინანსური წრეებიც, რომლებიც მას აფინანსებენ. ჰოდა, ისიც მათ დაკრულზე ცეკვავს.

**— გამოდის, რომ სომხებს საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერა აქვთ განზრახული?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ სომხებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მიზანში აქვთ ამოღებული. შემთხვევითი არაა, რომ ამერიკელმა კონგრესმენმა ყურადღება სწორედ საცხე-ჯავახეთზე გაამახვილა. მას მხარს უჭერენ ამერიკაში მცხოვრები მდიდარი სომხები. რა თქმა უნდა, ამაზე რეაგირება თვითონ საქართველომ უნდა მოახდინოს. თუ თბილისი ამ ყველაფრის მიმართ გულგრილი დარჩება, სომხები მეტს იზამენ და კიდევ უფრო შორს წავლენ თავიანთ განცხადებებსა და მოქმედებებში. ამიტომაც საჭიროა, რომ ბრედ შერმანს საკადრისი პასუხი გაეცეს.

**— შეიძლება ითქვას, რომ სომხებს კონკრეტული გეგმა აქვთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიმართ? თუ მხედველობაში მივიღებთ ამასწინანდელ ინციდენტს სომეხ პოლიტიკურ მოღვაწე ზარუი პოსტანჯიანთან დაკავშირებით, რომელიც ახალქალაქელ სომხებთან მიდიოდა, რათა ისინი აეჯანყებინა „თვითგამორკვევის“ მოთხოვნით...**

— სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას ადრეც არაერთხელ დაუყენებიათ საკითხი საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მათ აქტიურად უჭერს მხარს სომხური დიასპორა საზღვარგარეთიდან. ის ამერიკელი კონგრესმენებიც სომხური ფულის წყალობით აკეთებენ განცხადებებს. მინდა გავიმეორო, რომ თუ საქართველო აქტიურ და პრინციპულ ნაბიჯებს არ გადადგამს ასეთი სეპარატისტული განცხადებებისა და ქმედებების აღსაკვეთად, მაშინ ამგვარი გამონათქვამები ღია სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერაში გადაიზრდება. ეს ჩვენს თავზეც გვაქვს გამოცდილი და დღემდე ვერ გამოვასწორეთ ის შეცდომების შედეგები, რომლებიც თავის დროზე მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დაუშვეს. ამიტომაც ქართველებმა უფრო საღად უნდა იაზროვნონ, ფხიზლად უნდა იყვნენ და შესაბამისად შეაფასონ ცალკეული ამერიკელი კონგრესმენების, პოლიტიკოსებისა და ფინანსური წრეების როლი და მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი სომეხი საქმოსნებისა, რომლებიც აშკარად ანტიქართულ პოლიტიკას ატარებენ. თბილისმა უნდა გაანეიტრალოს სამცხე-ჯავახეთის სეპარატისტული ძალები, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საქმე ცუდად ექნება.

**— როგორია სომხეთის მთავრობის როლი საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერაში, ამერიკელი კონგრესმენების ხელით?**

— სომხეთი ყოველთვის ფარულად მოქმედებს. ერევანში ყოველთვის აცხადებდნენ და აცხადებენ, რომ მათ სამცხე-ჯავახეთის სეპარატიზმთან არანაირი კავშირი არ აქვთ, იქ ყველაფერს ადგილობრივი მოსახლეობა აკეთებსო. სინამდვილეში კი სწორედ ერევანი აქეზებს და მხარს უჭერს ყველა სეპარატისტულ მოძრაობას, სადაც კი სომხური ფაქტორია. სომხეთს შეუძლია ფარულად იმოქმედოს — სეპარატისტები ფულით უზრუნველყოს თავისი დიასპორული არხებით. თუ საქართველო დროულად არ მოახდენს თავისი პრინციპული პოზიციის დემონსტრირებას, სომხები უფრო მეტს იზამენ.

**— განა შეუძლია აშშ-ის მთავრობას, რომ პროამერიკელი კონგრესმენების მოთხოვნით ცალკეული ეთნიკური ჯგუფი დააფინანსოს? კონკრეტულად კი საქართველოში მცხოვრები სომხები და ამით სეპარატიზმი კიდევ უფრო გააღვივოს?**

— როგორც პრაქტიკა და ისტორია გვაჩვენებს, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ მსგავს ნაბიჯებს დგამენ ხოლმე. ისინი მიდიან იმაზე, რომ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს აფინანსებენ, რათა ხელოვნურად გამოიწვიონ „ეროვნული თვითგამორკვევის“ მოთხოვნები. ასეთ დროს ჩვენ ორმაგი პოლიტიკის მოწმენი ვხდებით. ამ მხრივ საინტერესოა გავიხსენოთ ესპანეთის კატალონიის პროვინციის ამბები. ზოგადად წამყვანი სახელმწიფოები მხარს უჭერენ ესპანეთის ხელისუფლების პოზიციას, მაგრამ სადაც კოცონის გაჩაღება უნდათ, იქ სეპარატიზმს აქეზებენ. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ სამცხე-ჯავახეთის სომხების დაფინანსება ამერიკელების მიერ არანაირად არ უნდა შედიოდეს არც საქართველოს და არც ამერიკის ინტერესებში, ასეთი პოლიტიკა ორმხრივ ურთიერთობებს არ წაადგება.

„Азербайджанские известия“

# რუსეთს ოკუპირებული აფხაზეთის ენერგოსისტემის რეაბილიტაციაში ჩართვა სურს

**რ** უსეთს **ოკუპირებული აფხაზეთის ენერგოსისტემისა და საკუთრივ ენგურჰესის რეაბილიტაციაში ჩართვა სურს.** ამ მიზნით მოსკოვი ზეწოლას ახორციელებს აფხაზ ე.წ. დეპუტატებზე, რათა შეაცვლევინოს აფხაზური კანონმდებლობა, რომელიც რუსეთს ამ სფეროში ინვესტირების შესაძლებლობას არ აძლევს.

**„დღეს მისულები ვართ იმ ზღვრამდე, როდესაც ფაქტობრივად აღარ დაგვრჩა სიმძლავრეები არც საწარმოებისთვის, არც სასტუმროებისთვის და აღარც თუნდაც ახალი სათბურებისთვის. არსებული სიმძლავრეების შეზღუდულობა ჩვენს განვითარებას აფერხებს. არსებული სიმძლავრეები მიმდინარე მოხმარებასაც კი ველარ უზრუნველყოფს, ეს კი უკვე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების პრობლემაა. ზამთარი სულ იმის შიშით გადავაგორეთ, რამდენი წყალი რჩებოდა ენგურჰესში, გვეყოფოდა იგი, თუ არა. წინ ენგურჰესის გეგმიური რემონტია და რეაბილიტაციის განმავლობაში აფხაზეთის დახმარება მხოლოდ რუსეთი შეძლებს. დარგის მასშტაბური მოდერნიზებისთვის ათობით მილიარდი რუბლია საჭირო. უდავოდ, ეს სტრატეგიული დარგია და მის მიმართ საჭიროა კარგად გააზრებული, ფრთხილი მიდგომა. თუმცა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, რუსეთის მიმართ ნდობის დონე შესაძლებლობას მოგვცემს, დავსხდეთ და ღიად ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე, მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომელიც რეალურ სარგებელს მოუტანს ჩვენს ეკონომიკას და ჩვენს ხალხს“,** — განაცხადა აფხაზური პარლამენტის დე ფაქტო დეპუტატმა, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის წევრმა ასტამურ ლოლუამ.

ცნობისთვის: ენგურჰესი სამხრეთ კავკასიაში უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურია, რომლის სიმძლავრე 1300 მგტ-ს შეადგენს. მისი გენერატორები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზეა განლაგებული, ხოლო მისი ჭალოვანი კაშხალი — ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. თბილისსა და სოხუმს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთს უსასყიდლოდ რჩება. გეგმიური სარემონტო სამუშაოები ჰიდროელექტროსადგურზე 5 წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს, თუმცა რეალურად 2006 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა. მაშინ ჰესი 2 თვით იყო გაჩერებული. ამჯერად ენგურჰესის რეაბილიტაცია 2018-2019 წლების პერიოდში იგეგმება.



**„ჩერნომორენერგოს“ მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად 5-9%-ით იზრდება. აფხაზეთი არსებული დეფიციტის დაფარვას რუსეთიდან მიწოდებული ენერგიით გეგმავს, თუმცა ამისათვის მაღალი ძაბვის ახალი ხაზების მშენებლობაა აუცილებელი.**

# რუსეთის, თურქეთისა და ირანის პრეზიდენტები ერთმანეთს ანკარაში შეხვდებიან



**CNN-ის ინფორმაციით, სირიის ომი დასრულებასთან ჯერ ახლოსაც არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ კვირას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი და ირანის პრეზიდენტი ჰასსან როუჰანი ერთმანეთს ანკარაში შეხვდებიან.**

**სამი ქვეყნის პირველი პირები სირიის ომის საკითხზე შეხვდებიან. CNN წერს, რომ ამ ქვეყნების პრეზიდენტები სამ ყველაზე დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენენ სირიაში.**

# საბერძნეთი თურქეთს მოუწოდებს...

**საბერძნეთი თურქეთს მოუწოდებს, დაკავებული ბერძენი მებრძოლები გაათავისუფლოს. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასის განცხადებით, ამ დროისთვის ვითარება იძაბება და ეს თურქეთთან მიმართბაში, ყველა საკითხში გამოიწვევს სიტუაციის ესკალაციას. ცნობისთვის, ბერძენი მებრძოლები საზღვრის გადაკვეთის დროს დააკავეს.**

# თეთრი სახლი ჩინეთს აკრიტიკებს

**თეთრმა სახლმა ჩინეთი ამერიკაში იმპორტულ პროდუქტებზე ტარიფების გაზრდის გამო გააკრიტიკა, — ამის შესახებ BBC იტყობინება. ჩინეთმა ამერიკაში იმპორტულ 128 სახის პროდუქტზე გადასახადი 25%-მდე გაზარდა.**



**ჩინეთის განცხადებით, იგი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და უნდა დაებალანსებინა დანაკარგები, რაც გამოწვეული იყო ტრამპის ადმინისტრაციის მიერ რკინაზე და ალუმინზე გაზრდილი ტარიფით.**

# ძმები ნადირაძეების ხელხვავი

## როგორ გავხდით თანამედროვე ადამიანები

**წლეულს გამომცემლობა „მერიდიანმა“ კარგი საჩუქარი უძღვნა სასკოლო ასაკის ბავშვებს: გამოსცა ჯურხა და ელდარ ნადირაძეების საქართველოს ისტორია ყმაწვილთათვის – „დიდ საქმეთა პატარა ამბები“, I ნაწილი.**

როგორც რედაქტორის, აწ განსვენებულ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის წინასიტყვაობიდან ვიგებთ, წინამდებარე საქართველოს ისტორიის – საბავშვო-პოპულარული წიგნის იდეა ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს ჯურხა ნადირაძეს. ბატონმა ჯურხამ ამ პროექტზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და 1989 წელს გამოსცა ქვის ხანის ისტორია სახელწოდებით – „მოთხრობები შორეულ წარსულზე“. ჯურხა ნადირაძის ნაშრომი, რომელიც დაწერილი იყო არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით და „სინათლით სავსე ქართულით“ (მწერალ რევაზ ინანიშვილის შეფასება), პატარა მკითხველს მოუთხრობდა უძველესი ადამიანის ცხოვრების შესახებ. წიგნი ინტერესით მიიღო საზოგადოებამ და მაღალი შეფასება მისცა.

სამწუხაროდ, ჯურხა ნადირაძეს არ დასცალდა პროექტის ბოლომდე მიყვანა. პროექტის გაგრძელება და ამ მადლიანი საქმის დასრულება ითავა ჯურხას ძმამ ელდარ ნადირაძემ, ასევე ისტორიკოსმა და საინტერესო მწერალმა.

ვფიქრობთ, ამ მცდელობამ გაამართლა. წიგნში მოთხრობილი საქართველოს ისტორია განკუთვნილია ყველა ასაკის ბავშვებისთვის 6 წლის ზემოთ. თუ თავდაპირველად პატარებისთვის ზოგი რამ გაუგებარი იქნება, მეორე და მესამე წაკითხვისას თანდათან გაერკვევიან ყველაფერში, რადგან ამასობაში წლებიც მოემატებათ და განათლებაც.




დასაწყისში ავტორი ელდარ ნადირაძე მოგვითხრობს „საქართველოს უძველეს ადამიანებზე“, ვიგებთ, რომ დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ აფრიკაში მცხოვრებ პირველყოფილ ადამიანთა ერთმა ნაწილმა რაღაც მიზეზის გამო მიატოვა ძველი საცხოვრებელი, ათასი მთა და მდინარე გადმოიარა და დამკვიდრდა ახლანდელ საქართველოში, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 კილომეტრით დაცილებული ძველი ქალაქის დმანისის ტერიტორიაზე.

1991 წ. 25 სექტემბერს მოხდა მსოფლიო არქეოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენა – ნაპოვნი იქნა უძველესი ადამიანის მილიონ 800 ათასი წლის ხნოვანების რამდენიმე თავის ქალა. ადამიანები დმანისიდან გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში, იქიდან კი ევროპის ტერიტორიაზე.

შემდეგ თხრობას განაგრძობს ელდარ ნადირაძე და გვიამბობს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველი ქვის ხანაში, როგორ გააკეთეს ქვის ხელნაჯახები, როგორ მოათვინიერეს ცეცხლი, როგორ გააძლიერა ადამიანი შრომამ, როგორ ნადირობდა.

ამის მერე ვეცნობით ახალი ქვის ხანას, ანუ ფიქრის ეპოქას, სახლის აშენების, ცხოველთა მოშინაურების, ყანის დათესვის, ფაფის მოდუღების (ანუ ქვაბში წყლის ადუღების) ამბებს, დედა მზისა და მამა მთვარის ამბავს (ადამიანთა პირველ რელიგიურ წარმოდგენებს).

მერე თხრობაში კვლავ ელდარ ნადირაძე ერთვება: როგორ გამოიგონა ადამიანმა ლითონის მახვილი და სახნისი, როგორ დაიწყო ქსოვა, როგორ შექმნა ბორბალი, როგორ მოიშინაურა ცხენი, როგორ ილაშქრეს არგონავტებმა კოლხეთში.

ავტორი გვაცნობს ქართველთა უძველეს სახელმწიფოებს დიაოხს, კოლხეთს, ეგრისს, იბერიას, რომისა და საქართველოს ურთიერთობას, ქართული სახელმწიფოს კულტურას...

მიმზიდველი, კარგი ქართულით თხრობას აგვირგვინებს მხატვრების ედუარდ ამბროლაძისა და ნინო მირიანაშვილის წარმატებული ნახატები. წიგნი თხრობის სტილით აშკარად განსხვავდება დღეს ბავშვთათვის დაწერილ თხზულებათა უმეტესობისგან.

წიგნი პატარა მკითხველს საფუძვლიანად აცნობს მიწაზე მიჯაჭვულ წინაპრებს, რომლებიც ხნავდნენ, მოსავალს იმკიდნენ, შრომაში დიდ გამომგონებლობასა და გონებას იჩენდნენ, ისეთი სახვნელი იარაღები გააკეთეს, რომ არც ბარში და არც მთაში ერთი გოჯი მიწა არ დაუტოვებიათ მოუხნავი.

სახნისი შუბ-მახვილთან ერთად ძველი საქართველოს ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა. მას თანაბარი წილი უდევს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განმტკიცებაში.

წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული, რაც მას მიმზიდველობას ჰმატებს პატარა მკითხველის თვალში.

წიგნის გამოცემა სამ ნაწილად არის განზრახული, ამჯერად მკითხველს მხოლოდ პირველ ნაწილს სთავაზობენ. დაწყებულია კარგი, სასიკეთო საქმე, რომელსაც ასევე წარმატებულად უნდა დასრულება, ეს ჩვენს მომავალ თაობას სჭირდება. ამის იმედს ელდარ ნადირაძის ხელმძღვანელობით გამოსული შესანიშნავი ფუნდამენტური, ჭეშმარიტად ეროვნული ნაშრომი „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ გვაძლევს, რომელიც ახლახან მეორედ დაისტამბა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

**ალექსანდრე ავალიშვილი**

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD)**
**სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)**

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული ,,სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი“ (AMMAR) იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

**ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:**
**გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის**
**გ-3-2 გამანაწილებლის რეაბილიტაცია**

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება ‘‘სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის’’ (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწყებს **გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3-2 გამანაწილებლის რეაბილიტაციას** დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით პროექტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში ‘‘ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია’’).

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრონველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს ‘საქართველოს მელიორაცია’’) წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

**3. მომსახურების ხანგრძივობაა 8 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 20 თვე.** დავალების სავარაუდო დაწყების თარიღია 2018 წლის მაისი.

**4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:**

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი; საზედამხედველო კომპანიას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები.
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

**1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

**3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა - CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2018 წლის 19 აპრილის 12 სთმდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-3 სართული, ოთახი 309
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-80-38/1521
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

# ...იგი ბიბლიიდან მოსულ კაცს ჰგავდა, რომელმაც თავისი სათქმელი ბოლომდე ვერ ამოწურა...

**— რამდენიმე წუთით გავყუჩდეთ და ჯემალ აჯიაშვილი შემოვიყვანოთ დარბაზში — ამ, ერთი შეხედვით უცნაური, სიტყვებით მიმართა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ დავით შემოქმედელმა 28 მარტს საქართველოს მწერალთა სახლში შეკრებილ სტუმრებს.**

თითქოსდა უცნაურიო იმიტომ, რომ საქვეყნოდ ცნობილი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, უამრავი საპატიო ჯილდოს მფლობელი და პრემიის ლაურეატი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი უზადო ნიჭისა და გამორჩეული პიროვნული თვისებების მატარებელი კაცი, ერთმანეთს საუკუნეთა უგრძელეს გზაზე ძმურად ჩახუტებული ორი უძველესი — ებრაელი და ქართველი ერის ღირსეული შვილი **ჯემალ აჯიაშვილი** ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა.

...და დარბაზი გაინაბა, ეკრანზე კი ბატონი ჯემალი გამოჩნდა, რომელიც ინტერვიუერს ხალისით უყვებოდა თბილისური ბავშვობისა თუ მაშინდელი ცხაკაიური, ანუ სენაკური სიყმაწვილის ამბებს, იმდროინდელი ადათ-წესებისა და წეს-ჩვეულებების, ყოველდღიური ყოფის დეტალებს...

— ზუსტად ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მისი ფიზიკური სხეული აქაურობას მოსცილდა და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა, — თქვა ბატონმა **დავით შემოქმედელმა,** რის შემდეგაც შეკრებილმა საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ბატონი ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას.

— ბიბლიური თქმაა: თქვენ ხართ მარილი წუთისოფლისანიო, ვინც ალამაზებთ მას. სწორედ ასეთი კაცი იყო ჯემალ აჯიაშვილი, რომელიც ორი უძველესი ცივილიზაციის ხიდი გახლდათ, — სიტყვა განაგრძო თავყრილობის წარმმართველმა. — წარმოუდგენლად ძნელია მის შემოქმედებაზე ყოვლისმომცველად და ამომწურავად ილაპარაკო, ვინაიდან მისი დიდი დანატოვარი თავის მკვლევარებს ჯერ კიდევ ელის. თუ რაოდენ ვრცელია მისი პოეზია, ამაზე გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი, სრულიად გამაოგნებელია მისი მთარგმნელობითი შემოქმედების დიაპაზონიც — შექსპირი, პეტრარკა, გოცი, რილკე, მაიაკოვსკი... ახლა პუბლიცისტური ნაშრომები და ისტორიული ესეისტიკა?! ამას კიდევ უდიდესი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა რომ მივამატოთ?! იგი ხომ საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი გახლდათ!..

საიდან მოდის მისი ფენომენი? მისი ფესვები, ალბათ, ისტორიულ წიაღში უნდა ვეძიოთ, როცა ნაბუქოდონოსორმა მოსრა იუდეა და ებრაელთა ერთი ნაწილი საქართველოს მოადგა. ბატონი ჯემალ აჯიაშვილი კი, როგორც ჩანს, ამ გენეტიკური კავშირის გამსახიერებელია. პრეისტორიული ფაქტია, რომ როცა საქართველოს გამქრისტიანებელი წმინდა ნინო ქვეყანაში შემოვიდა, მან ენა არ იცოდა, არაბულად ლაპარაკობდა, კომუნიკაცია კი მცხეთაში მცხოვრებ ებრაელთა მეშვეობით შეძლო და ინტეგრირება სწორედ იქიდან დაიწყო.

ივრითზე „ვეფხისტყაოსნის“ უშესანიშნავესი მთარგმნელის ბორის გაპონოვის შემდეგ, ჯემალ აჯიაშვილი მეორე გენიოსი ქართველი ებრაელი გახლავთ.

ბატონმა დავითმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბატონი ჯემალ აჯიაშვილი შოთა რუსთაველის განახლებული საზოგადოების ერთ-ერთი პირველი წევრთაგანი იყო, მუდამ უდიდესი შემოქმედებითი აქტივობით გამოირჩეოდა. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც იმის გახსენება კმარა, რომ ვაჟაფშაველას იუბილეს აღსანიშნავ კონფერენციაზე იგი ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი ბრძანდებოდა. ხოლო როცა კი თორაზე საუბრობდა, ბიბლიიდან მოსული კაცი გეგონებოდათ.

საგანგებოდ ისიც ითქვა, რომ ამჟამად იუნესკოში ინტენსიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები იმის თაობაზე, რომ 26-საუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობა ამ უაღრესად ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ კაცობრიობის არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიაროს. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამბავი, ამას თუნდაც დღესდღეობით საერთაშორისო არენაზე მიმდინარე უმძაფრესი მოვლენები მეტყველებს, რომელთა გამო მსოფლიო უმძაფრესი გამოწვევების წინაშე დგას. ბატონმა დავით შემოქმედელმა გაიხსენა 2016 წელი, როდესაც რუსთაველის საზოგადოების დელეგაცია იმყოფებოდა ისრაელში, წმინდა მიწაზე, შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო დღეებში და რომ ეს იუბილე ორი ერის ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

თავისი გამოსვლის ბოლოს დავით შემოქმედელმა მის მიერ ისრაელში ყოფნის დროს დაწერილი ლექსი წაიკითხა:

### „იერუშალაიმ“

**იერუშალაიმ — სული**
**ტაძრების,**
**მოსემ შენს ქედზე დადგა**
**კარავი,**
**ოქროსფერ სხივად**
**აღიმართების,**
**ხმა აღთქმულ მიწის გენის**
**მფარავი.**
**წაკითხულია ყველა**
**ბილინგვა,**
**სულში რომ აჩნევს ნახმლევ**
**სტრიქონებს,**
**თორას სიბრძნით და ზეციურ**
**სიბრძნით**
**ხსნა მუდამ არის, ძმებო,**
**იცოდეთ.**
**სამყარო ცეცხლის ვულკანზე**
**იწვის,**
**ღმერთო, რა რისხვა, რა**
**უკუნია,**
**ჩვენ კი ამ ძმობის ნაჭედი**
**ფიცით**
**ვდგავართ 26 საუკუნეა.**
**აქ რუსთაველი ცრემლით**
**გოდებდა,**
**აქ მიწა ღმერთის, სამყაროს**
**ფესვი,**
**ჩემს სვეტიცხოვლის ზარების**
**გუგუნს,**
**ერთვის ტალღის ხმა**
**იორდანესი.**
**იერუშალაიმ! — სული**
**აკივლდა,**
**ცრემლი ორ ერის აღარ**
**ნელდება,**
**და როგორც საყდრის ბერი**
**დაღლილი,**
**ვტირი გოდების მაღალ**
**კედელთან.**
**გტოვებ და სული მაღლდება**
**ცასთან,**
**ამ ცრემლსიტყვებით მითრთის**
**კალამი,**
**თუ დაგივიწყო,**
**თუ დაგივიწყო,**
**თუ დაგივიწყო,**
**იერუშალაიმ!!!**

— პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო ისრაელის მთავრობასა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს იმის გამო, რომ კიდევ ერთი ვადით ვარ ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში, — დიდი სითბოთი და განცდით ქართულად მიმართა დამსწრე საზოგადოებას თბილისში დაბადებულმა ბატონმა **შაფთაი ცურმა.** — მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ურთიერთობა, რომელიც თან ყოველდღიურად ღრმავდება და თან წინ მიიწევს, არსად მინახავს, მსგავსი რამ არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება.

შთამბეჭდავი იყო მსახიობ **ელდინო საღარაძის** გამოსვლა, რომელმაც ჯემალ აჯიაშვილის პოეზიის ემოციური წაკითხვით დამსწრენი რამდენიმე ხნით თითქოსდა პალესტინის ზეცის ქვეშ გადაისროლა და იქაურობის განუმეორებელი სურნელება შეაგრძნობინა.

— მართალია, ბატონი ჯემალ აჯიაშვილის დაბადების დღე 23 მარტს იყო, მაგრამ მისი სახელის გახსენება და მოფერება კიდევ ერთხელ გადავწყვიტეთ, — აღნიშნა რუსთაველის საზოგადოების ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მიმართულების ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა **ლეილა ნოდიამ.** — მის შესახებ სათქმელს, ცხადია, ვერ ამოვწურავთ, მაგრამ ამის გაკეთება თავადაც ვერ შეძლო. ერთხელ სინანულით მითხრა — ნეტავ, საერთოდ არ გამეცხადებინა ჩემი ავადმყოფობა და ის მეკეთებინა, რაც ჩაფიქრებული მქონდაო. იგი საქართველოში რომ აღსრულებულიყო, აუცილებლად რომელიმე პანთეონში დაიკრძალებოდა, რის თაობაზე ერთმა მეგობარმა მოხდენილად მითხრა — მისი პანთეონი თითოეული ჩვენგანის სულიაო.

მეტად გულწრფელ, გულღია გამოსვლაში ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** დამსწრეთ უაღრესად საგულისხმო ამბავი შეახსენა: სწორედ ბატონი ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის საღამომ გადაარჩინა დღეს უკვე ლეგენდარული მწერალთა სახლის ისტორიული სააქტო დარბაზიც და კიდევ რამდენიმე მიმდებარე ოთახიც. მაშინ საქმე იქამდე იყო მისული, რომ ქართველ მწერლებს, ფაქტობრივად, თავიანთი ბუდე სრულიად მოშლილი ჰქონდათ, იქაურობა ნაგვითა და ჭუჭყით იყო სავსე, სწორედ ბატონი ჯემალის ხსოვნის აღსანიშნავად მოწესრიგდა და მხოლოდ ამ ღონისძიებაზე მისული მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით ქართველ მწერლებს სამყოფელი შეუნარჩუნდათ.

— აქაურობა, ფაქტობრივად, ჯემალ აჯიაშვილის სულმა იხსნა, რომელიც „საუკუნის ქართველ ებრაელად“ იყო გამოცხადებული. სწორედ ესაა საქართველოს ტოლერანტობის გამორჩეულობა, — თქვა ბატონმა ჯამლეტმა. — ხშირად მითქვამს: ტოლერანტობაში ოლიმპიური თამაშები რომ ტარდებოდეს, საქართველო პრიზიორთა სამეულს მიღმა არასდროს დარჩებოდა-მეთქი. ჯემალ აჯიაშვილს კი საქართველო და თბილისი იმდენად უყვარდა, რომ უკვე სნეულს, ისრაელიდან ტელეფონით თავის მეგობარს, ცნობილ კავკასიოლოგს გივი ღამბაშიძეს რომ დალაპარაკებია, რომელიც სანაპიროს მახლობლად ცხოვრობს, უთქვამს, ფანჯარა გამოაღე, ყურმილი გარეთ გაჰყავი — მტკვრის მონატრებული დუდუნი მომასმენინეო!..

ჩვენმა სასიქადულო მომღერლებმა **ირმა სოხაძემ, ენრიკო ჯანელიძემ** და ნორჩმა **ბაბალე ჯინჭარაძემ** ჩვეული წარმატებით შეასრულეს ქართული და ებრაული სიმღერები.

შემდეგ დამსწრეთ სიტყვებით მიმართეს საპატიო ებრაელმა სტუმრებმა, ჯემალ აჯიაშვილის მეგობრებმა და შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, ჩვენი კულტურის მრავალმა სახელოვანმა წარმომადგენელმა. ხსოვნის საღამოზე კიდევ ერთხელ გახმოვანდა მისი პოეზიის რამდენიმე ნიმუში, რომლებსაც თავადვე კითხულობდა.

უაღრესად გულთბილი მოგონებებით დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ **ხილიკ ბარი, იციკ მოშე, სიმონ ნოზაძე, გივი შაჰნაზარი, მარიკა კვალიაშვილი, ომარ მხეიძე, ნომადი ბართაია, ევა ბაბალაშვილი, ნათელა პატარკაციშვილი, თამარ მახარაშვილი, რევაზ ადამია, ზაირა დავარაშვილი, ნინო ქუთათელაძე.**

ერთი სიტყვით, ბოლოს იმის თქმაღა შეიძლება, რომ ბატონი ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის საღამო ქართულ-ებრაული ურყევი მეგობრობის საყდრის კიდევ ერთ მცირე სვეტად დადგა, რომელიც საუკუნეთა სრბოლას გაუძლებს ჟამთა დასასრულამდე.

**ოთარ ტურაბელიძე**







მწერალთა სახლში შეხვედრის დროს

◎ კალათბურთი



## რატიშვილს – ფინალი

**ფიბას ერთადერთი ქართველი კომისარი მერაბ რატიშვილი ქალთა ევროპის თასის ფინალს მოემსახურება. 11 აპრილს სტამბოლში აღნიშნული ტურნირის გადამწყვეტი სერიის პირველი შეხვედრა გაიმართება: „გალათასარაი" იტალიურ „ვენეციას" უმასპინძლებს და ამ მატჩის სამდივნოს თავკაცი სწორედ ჩვენი თანამემამულე იქნება.**

რატიშვილს როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე კომისრად და დელეგატად მუშაობის სოლიდური გამოცდილება აქვს. მას არაერთხელ უმუშავია ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების ფინალებზე, თუმცა, საკლუბო დონეზე საჩემპიონო მატჩს პირველად გაუძღვება, რაც მსოფლიო კალათბურთის მმართველი ორგანოსგან ქართველი პროფესიონალის მორიგი აღიარება და დაფასებაა.

შეგახსენებთ, რომ ქალთა ევროპის თასის ფინალი ქართველებისთვის უცხო არ გახლავთ: 2016 წელს აღნიშნული ტურნირის გადამწყვეტ მატჩს მსაჯის ამპლუაში ფიბა-ს არბიტრი მაკა კუპატაძე მოემსახურა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩოგბურთი

## რაფა ისევ პირველია

**გუშინ** ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. მაიამის მასტერსზე როჯერ ფედერერის წაგების გამო რაფაელ ნადალი ისევ პირველ ადგილზე გადავიდა, ხოლო აღნიშნული ტურნირის გამარჯვებულმა ჯონ იზნერმა 8 საფეხურით წინ წაიწია და ამჟამად მე-9 ადგილზეა.

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი სამი პოზიციით დაწინაურდა და 86-ე ადგილზე გადაინაცვლა.

**კობა კობახიძე**

# საფეხბურთო მოზაიკა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის ვაკო გვილიას ტრავმის სარეაბილიტაციო პერიოდი კარგად მიმდინარეობს. 23 წლის ფეხბურთელმა მუხლი „ჯვაროსნების" შეკრებისას დაიზიანა.**

მის გარეშე „ლუცერნმა" შვეიცარიის ჩემპიონატში „სენტ გალენი" დაამარცხა (3:1). იგი მოედანს სავარაუდოდ უკვე მომდევნო ტურში „თუნთან" შეხვედრაში დაუბრუნდა, უარეს შემთხვევაში კი 15 აპრილს „სიონთან" გასამართი მატჩისთვის იქნება მზად.



შეგახსენებთ, რომ ჩვენებური ლეგიონერი „ლუცერნში" მიმდინარე წლის დასაწყისში გადავიდა და ახალ გუნდს ჩინებულად მოერგო. ვაკომ სუპერლიგაში 6 მატჩში 1 ბურთი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა, ხოლო სამჯერ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

**„მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ზაფხულს შტატებს ეწვევა. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, სტუმრები ამერიკაში წინასასეზონო მომზადებას გაივლიან და ხუთ საჩვენებელ მატჩს გამართავენ, მათ შორის ამხანაგურ ტურნირზე —** International Champions Cup.

ქართველი ქომაგისთვის საინტერესო კი ეს ცნობა იმითაა, რომ ინგლისურმა გრანდმა ორი მეტოქის ვინაობა უკვე დაასახელა და მათ შორისაა MLS-ის „სან ხოსე", რომლის ღირსებას ჩვენი ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ვაკო ყაზაიშვილი იცავს. აღნიშნული შეხ-



ვედრა 22 ივლისს კალიფორნიაში გაიმართება, სამი დღით ადრე კი ბრიტანელები არიზონაში მექსიკურ კლუბ „ამერიკას" დაუპირისპირდებიან. სხვა მეტოქეები მოგვიანებით დადგინდება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ახალი სეზონის წინ ოკეანის გაღმა ტურნეს ზედიზედ მეორე წელია აწყობს.

**ეკატერინბურგის „ურალის" ქართველი შემტევის გიორგი ჭანტურიას ტრავმა სერიოზული გამოდგა. როგორც რუსული კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, ფეხბურთელისთვის ჩატარე-**



**ბულმა სამედიცინო გამოკვლევამ ყველაზე ცუდი ვარაუდი დაადასტურა — გიორგის მუხლის ჯვარედინა მყესები აქვს დაზიანებული და უახლოეს დღეებში გერმანიაში ოპერაცია ჩაუტარდება, რის შემდეგაც დაახლოებით 6-თვიანი სარეაბილიტაციო კურსის გავლა მოუწევს.**

ჭანტურია „რუბინთან" რუსეთის ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩში (1:1) დაშავდა. ის თამაშში 74-ე წუთზე ჩაერთო, თუმცა, 84-ე წუთზე ტრავმის გამო მოედნის დატოვება მოუწია. გიორგიმ მიმდინარე სეზონში რუსეთის პრემიერლიგის 18 მატჩში სამი ბურთი გაიტანა და ერთი საგოლე პასი შეასრულა.

**ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს შორის სეზონის ბოლოს ურთიერთობის დასრულებას ბრიტანული გამოცემები თითქმის გადაწყვეტილ ამბად მიიჩნევენ და**



**ის თანხაც გაარკვიეს, რომლის გადახდა „არისტოკრატებს" იტალიელი სპეციალისტისთვის კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის შემთხვევაში მოუწევთ.**

The Telegraph-ის ინფორმაციით, თუკი „ჩელსი" კონტეს თანამდებობიდან ამ ზაფხულს გაათავისუფლებს, კომპენსაციის სახით 10,2 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ამასთან, ცნობილია, რომ მწვრთნელი საკუთარი სურვილით გადადგომას არ აპირებს.

კონტეს დამოძღვრილი „ჩელსი", რომელმაც გასულ წელს ინგლისის ჩემპიონობა იზეიმა, მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის 31 ტურში მოპოვებული 56 ქულით მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომტან ზონას 8 ქულით ჩამორჩება.

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

## რა საჭიროა ქმარი?!

**ვეტერანი ესპანელი მოტომრბოლის ფონსი ნიეტოს ყოფილი ცოლი, უცნობილესი მოდელი არიადნა არტილესი მთელს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლამაზმანად ითვლება და პრაქტიკულად არ არსებობს ბულვარული გამოცემა, რომლის ყდაზეც ეს ქალი არ ყოფილა გამოსახული.**

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წყვილის ცოლ-ქმრობა 2011 წელს მათი საერთო სურვილით შეწყდა, როგორც „ყვითელი" მოკალმეები გვამცნობენ, სხვადასხვა ფეშენებელურ მიღებებზე ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ისე კოხტად ჭუკჭუკებენ, კაცი ვერ იფიქრებს, მათი შეხმატკბილებული თანაცხოვრება წარსულში რომ დარჩა.

ერთი ისაა, რომ მრბოლთან დაშორების შემდეგ პირენეელმა ფერიამ საჯაროდაც განაცხადა და, როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ გათხოვებაზე საბოლოოდ თქვას უარი და ამ პირობას ახლაც ასრულებს. ისე კი, ასეთ ქორფა ასულს გულისსწორი და მოტრფიალე რომ არ მოაკლდება — რთული მისახვედრი არ უნდა იყოს...

**როსტომ რაჭველიშვილი**



◎ 64 უჯრა







## „საუკეთესო დაცვა შეტევაა"!

**საჭადრაკო რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს, გერმანელ ადოლფ ანდერსენს ეკუთვნის ფრთოსანი გამონათქვამი — „საუკეთესო დაცვა შეტევაა". „ის არასდროს არ აყენებდა საკითხს, მომწიფდა თუ არა მისი პოზიცია შეტევისთვის" (მ. ეივე). ასეთი თამაშის სტილი გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა იერიშის განხორციელებაში. ცნობილია, რომ დებიუტში მყისიერი შეტევა სარისკოა, რადგან საკუთარ ბანაკში იქმნება გარკვეული სისუსტეები, ამიტომ ნაყოფიერად მუშაობდა მთელი რიგი თეორიული საკითხების დასახვეწად. ამის საუკეთესო მაგალითია ლონდონის I საერთაშორისო ტურნირში (1851 წ.) გათამაშებული პარტია კიზერიცკისთან, რომელიც „უკვდავი" პარტიის სახელწოდებით არის ცნობილი.**

— არანაკლებ ემოციურ დიტვირთვას იტანს ანდერსენი-დიუფრენის შეხვედრა, რომელიც „უჭკნობ" პარტიად (1852 წ.) მოინათლა.

სტაჟიან ჭადრაკის მოყვარულებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ ამ პოპულარული პარტიების სრულ ჩანაწერებს, რომელიც ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს (არანაკლებს თუ მეტად არა მუსიკალური ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოების მოსმენა) როგორც სტაჟიან მოყვარულებს, აგრეთვე ჭადრაკის თამაშის დამწყებ მოსწავლე-ახალგაზრდობას:

### ანდერსენი–კიზერიცკი

**ლონდონი 1851 წ.**
**მეფის გამბიტი**

1. e4 e5; 2. f4 ef; 3. კც4ლჩ4;
4. მფფ1 b5; 5. კბ5; 6. მფ3ლჩ6;
7. d3mC5; 8. მჩ4ლგ5; 9. მფ5c6;
10. ეგ1ch; 11. g4mf6; 12. h4lg6;
13. h5ლg5; 14. ლფ3მგ8; 15. კფ4ლფ6;
16. მც3კც5; 17. მდ5ლb2; 18. კდ6ლ:q1+;
19. მფლ2კ:g1; 20. e5მa6; **21. მგ7+mfd8;**
**22. ლფ6+1მ:f6; 23. კე7x.**

### ანდერსენი–დიუფრენი

**ბერლინი 1852 წ.**
**ევანსის გამბიტი**

1. e4e5; 2. მფ3მც6; 3. კც4კც5;
4. b4k:b4; 5. c3ka5; 6. hued;
7. 0-0d3; 8. ლბ4ლფ6; 9. e5ლg6;
10. ელ1მge7; 11. კა3ბ5; 12. ლ:ბ5ეb8;
13. ლა4კბ6; 14. მბდ2კb+; 16. მე3ლფ5;
16. კდ3ლჰ5; 17. მფ6gf; 18. efeg8;
19. ეად1ლf3; 20. ე:ჰ7+1 მე7;
**21. ლ:დ7+1 მფ:დ7; 22. კფ5++mfe8;**
**23. კდ7+mff8; 24. კ:ე7x**

ფიგურების „დატაცებას" დახარბებულმა მოჭადრაკეებმა „გაფლანგეს" მატერიალური უპირატესობა და დამარცხდნენ, რამეთუ ფიგურათა განვითარება და მათი ურთიერთშეთანხმება ბრძენთა თამაშის უკვდავი იდეაა.

**შენიშვნა:** დიაგრამებზე აღნიშნული ბოლო სვლები ჩანაწერებში ხაზგასმულია.

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

ეპიტაფია

# დიდი ნიჭით დაჯილდოებული

## გამოჩენილი მეცნიერის ანრი რუხაძის ხსოვნას



ქართველ საზოგადოებას მწუხარებით ვაუწყებთ, რომ 2018 წლის 7 მარტს მოსკოვში 88 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიოში აღიარებული ქართველი ფიზიკოსი ანრი რუხაძე.

ანრი რუხაძე დაიბადა 1930 წლის 9 ივლისს ს. ხიდისთავში. მამამისი ამბროსი რუხაძე იყო ცნობილი მათემატიკოსი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მათემატიკის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი). 1947 წელს, საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, ა. რუხაძე გახდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტი. 1951 წელს, აღნიშნული ფაკულტეტის გაუქმების გამო, სხვა სტუდენტებთან ერთად, გადაიყვანეს მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1954-1957 წლებში ანრი რუხაძე სწავლობს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, აქ მისი ხელმძღვანელი იყო ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი იგორ ტამი. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს — სადოქტორო დისერტაცია, 1971 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ანრი რუხაძის კვლევების ძირითადი მიმართულება 1958 წლიდან იყო გარემოს ელექტროდინამიკის განვითარება სივრცული დისპერსიის გათვალისწინებით, რაც აუცილებელი იყო არაწონასწორული პლაზმის შესწავლასთან დაკავშირებით. 1961 წელს იგი აკადემიკოს ვ.პ. სილინთან ერთად აქვეყნებს ბრწყინვალე წიგნს პლაზმის ელექტროდინამიკის შესახებ. 1970 წელს გამოდის ა. რუხაძის წიგნი ნობელის პრემიის ლაურეატ ვიტალი გინზბურგთან ერთად — „ტალღები მაგნიტოაქტიურ პლაზმაში", რომელიც 1972 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობამ „Springer Verlag" (ჰაიდელბერგი), ხოლო 1976 წელს ა. ალექსანდროვთან ერთად აქვეყნებს წიგნს „Физика сильноточных источников света" - ეს საკითხი ფიზიკაში იყო სრულიად ახალი, ამიტომ იგი ითვლება რელატივისტური პლაზმის მაღალი სიხშირის ელექტრონიკის შემქმნელად. ძალიან დიდია მისი წვლილი პლაზმის ფიზიკის საკითხების შესწავლაში, მისი შრომები არაერთგვაროვანი პლაზმის კვლევების მიმართულებით პიონერულად ითვლება.

ა. რუხაძე დიდ დროს უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ასწავლიდა მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით 65 მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 34 მოწაფე მეცნიერებათა დოქტორი გახდა. მისი მოწაფეები წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს და ასრულებდა ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს; მოწაფეები ჰყავდა გერმანიაში, ბულგარეთში, სერბიაში, თურქეთში, სირიაში, კორეის რესპუბლიკაში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც.

ანრი რუხაძე 600 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, მათ შორისაა 55 მიმოხილვითი შრომა, 20-მდე მონოგრაფია, გამოქვეყნებული როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

იმის გამო, რომ 1948 წლიდან ა. რუხაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში, რუსეთში მას მოიხსენიებენ, როგორც „выдающийся российский ученый-физик".

ანრი რუხაძე იყო რუსეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიისა და ა.მ. პროხოროვის სახელობის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. მას ორჯერ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია (1981 და 1991 წლებში), ხოლო 1989 წელს — მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის პირველი ხარისხის პრემია. დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.

ანრი რუხაძე იყო სოფიის უნივერსიტეტის (ბულგარეთი), ნ. ბოგოლიუბოვის სახ. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის (უკრაინა) და დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

2012 წელს ანრი რუხაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად.

ამ პატარა ქვეყანას — საქართველოს ჰყავდა მსოფლიოში გამორჩეული მეცნიერები, უდავოდ მათ შორისაა ანრი რუხაძე — დიდი ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი, დაუვიწყარი პიროვნება.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება**

ხსოვნა

# ჯემალ გაბეჩავა



სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ჰიდროგეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯემალ გაბეჩავა, ღირსებული მოქალაქე და ღვაწლმოსილი მეცნიერი.

მრავალწლიანი გამოცდილება, შეძენილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის სამმართველოში წამყვან თანამდებობებზე მუშაობისას, მან თავდაუზოგავი შრომით მოახმარა თანამედროვე საქართველოში ეკონომიკური განვითარების საქმეს და მიწისქვეშა წყლების რესურსების ათვისების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას.

1997 წელს ის მუშაობას იწყებს ჩვენთან, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამაში" და შემდგომში, ხდება მისი დამფუძნებელი. სიცოცხლის ბოლომდე ის ხელმძღვანელობს ჰიდროგეოლოგიურ განყოფილებას.

ბატონი ჯემალი აქტიური მონაწილეა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული არაერთი პროექტისა: ბაქო-სუფსის, ბაქო-ჯეიჰანის, ავტომაგისტრალების, რკინიგზის ახალი ხაზების, პორტების და ტერმინალების, ენერგეტიკის ობიექტების და სხვა. მის მიერ შეფასებულია მიწისქვეშა წყლებზე ამ ობიექტების მშენებლობის და ფუნქციონირების დროს არსებული უარყოფითი ზემოქმედების ეკოლოგიური რისკები, განსაზღვრულია წყლების დაცულობის ხარისხი.

ინგლისურ კომპანია „ზენიტ-ინტერნეიშენალთან" ერთად ბატონი ჯემალის მონაწილეობით შესრულებულია ბორჯომის საბადოს რეაბილიტაციის გეგმა და „ბორჯომის" წარმოების განვითარების ბიზნეს-გეგმა. ასევე, დიდი ღვაწლი მიუძღვის ნაბეღლავის, საირმის, მიტარბის და სხვა მინერალური წყლების რესურსების ათვისების საქმეში.

დღეს ძნელია, შეფასებულ იქნას ბატონი ჯემალის უდიდესი ღვაწლი საქართველოს მიწისქვეშა წყლების საბადოების შესწავლის და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

უაღრესად ორგანიზებულმა პიროვნებამ დაგვიტოვა უნიკალური მასალა საქართველოს მიწისქვეშა წყლების შესახებ, რითაც, ყოველდღიურად სარგებლობენ ჩვენი თანამშრომლები. მისი აქტიური მონაწილეობით არის შექმნილი, ჩვენს ორგანიზაციაში არსებული ე.წ. „მიწისქვეშა წყლების ბანკი", სადაც თავმოყრილია წლების განმავლობაში დაგროვილი მდიდარი ჰიდროქიმიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია.

ბატონი ჯემალის მიერ გამოქვეყნებულია 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

ბატონი ჯემალის მეცნიერული მოღვაწეობა დაფასებულია, იგი არჩეულია ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრად და საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ჰიდროგეოლოგების საერთაშორისო ასოციაციის წევრად; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ბატონი ჯემალის გამოზრდილი ახალგაზრდა სპეციალისტები წარმატებით მუშაობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ბატონი ჯემალი იყო უაღრესად კოლეგიალური და კეთილგანწყობილი პიროვნება, გონებახვილი და ენამოსწრებული. თანამშრომლებში მას დიდი სიყვარული და სიკეთე აქვს დათესილი.

ამბობენ, რომ შეუცვლელი პიროვნება არ არსებობს, ვერ დავეთანხმებით - ბატონი ჯემალი იყო განუმეორებელი და უძვირფასესი ყოველი ჩვენგანისთვის.

**სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას" და „გამა კონსალტინგის" თანამშრომლები**

# თბილისში მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

**სისხლიანი გარჩევა თბილისში — დადიანის ქუჩაზე, თბილისი ცენტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე 40 წლამდე მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაჭრილი მამაკაცი კი შველას ითხოვდა.**

დაჭრილის საავადმყოფოში გადაყვანა ერთ-ერთმა გამვლელმა სცადა, თუმცა მან გზაში ბევრი სისხლი დაკარგა, რის გამოც ის კლინიკაში მოგვიანებით სასწრაფო დახმარების სამსახურმა გადაიყვანა.

მამაკაცს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ექიმის თქმით, დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს ერთი პირი, მას ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარების ბრალდებით მიმდინარეობს.

# სააღდგომოდ მატარებლის დამატებითი რეისები ინიშნება

**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მგზავრების მომატებული რაოდენობის გამო, საქართველოს რკინიგზა მატარებლის დამატებით რეისებს ნიშნავს. 5, 6, 7, 9 და 10 აპრილს (3808/807) 4-ვაგონიანი, ოსართულიანი შტადლერის ელექტრომატარებელი თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით ახალი განრიგით იმოძრავებს. მატარებელი თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან 10:30 გავა, ბათუმში ჩავა 15:30-ზე. ბათუმიდან კი გამოვა 17:10-ზე და თბილისში ჩამოვა 22:03-ზე.**

დამატებითი რეისი ინიშნება თბილისი-სენაკი-თბილისის მიმართულებაზე. კერძოდ, 5, 6, 7, 9 და 10 აპრილს 4-ვაგონიანი ელექტრომატარებელი (3878) თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან 8:50-ზე გავა, სენაკში ჩავა 13:08-ზე. სენაკიდან კი (3877) გამოვა 19:45-ზე და თბილისში ჩამოვა 23:59-ზე.

საქართველოს რკინიგზა სასიამოვნო მგზავრობას გისურვებთ!



**13 აპრილს, 18 საათზე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) ჯუზეპე ვერდის შედევრის — ოპერა „რიგოლეტოს" წარმოდგენაზე მიიწვევს მსმენელს.**

ქუთაისის ოპერის თეატრის რეპერტუარს ეს ნაწარმოები შარშან 27 დეკემბერს შეემატა. „რიგოლეტოს" (ლიბრეტოს ავტორი — ფრანჩესკო მარია პიავე, ვიქტორ ჰიუგოს დრამის „მეფე ერთობას" მიხედვით) აღნიშნულ დადგმაზე იმუშავა სადადგმო-შემოქმედებითმა ჯგუფმა მრავალგზის ნაცადი **რევაზ ჯავახიშვილისა** (დამდგმელი დირიჟორი) და **მაია გაჩეჩილაძის** (დამდგმელი რეჟისორი), თეატრის ახალი მთავარი მხატვრის **თეო კუხიანიძისა** და **ვახტანგ უშვერიძის** (დამდგმელი ქორეოგრაფი) შემადგენლობით.

# ვერდის „რიგოლეტო" ქუთათურთა სცენაზე



სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ: ევროპის საოპერო თეატრებში წარმატებით მოღვაწე ბარიტონი **გოჩა აბულაძე** (რიგოლეტო), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი **მარიკა მაჩიტიძე** (ჯილდა), იტალიაში მოღვაწე ბანი **აკაკი იოსელიანი** (სპარაფუჩილე) და, ცხადია, მასპინძლები — ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები **ბადრი ადამია** (მანტუას ჰერცოგი), **ნინო ზაქაიძე** (მადალენა), **ინგა ფუტკარაძე** (ჯოვანა), **ბაკურ კვირიკაშვილი** (გრაფი მონტერონე), **ემილ ჩარგაზია** (მარულო), **იაგო ბუხრიკიძე** (ბორსა), **გიორგი ხაჭაპურიძე** (გრაფი ჩეპრანო), **ფერიდე ჯინჯიხაძე** (გრაფინია ჩეპრანო), **მარიეტა მაჩალაძე** (პაჟი),**ბელა მაჭავარიანი** (მასხარა), რომელთაც პარტნიორობას გაუწევს თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ნათია გოგუაძე)**, ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი.

„რიგოლეტოს" დადგმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

**ავთანდილ ბექაური**

# „მეფე ერეკლე ინგლისურ და ირლანდიურ პრესაში"

**ხელოვნების სასახლეში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია — „მეფე ერეკლე ინგლისურ და ირლანდიურ პრესაში".**

რატომ წერენ ინგლისური გაზეთები, „რომ პატარა კახი" ლონდონის ვულვიჩის აკადემიაში სწავლობდა, რა ვითარებაში მოუწია საქართველოს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება და რატომ იღუპებოდნენ საეჭვო ვითარებაში თბილისიდან ევროპაში წარგზავნილი ელჩები? ამ კითხვებს პასუხი ირლანდიიდან ჩამოტანილი უცნობი ისტორიული წყაროების საშუალებით გაეცა.




ორენოვანი ნაშრომი (ავტორი — გიორგი კალანდია) საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ, უნიკალურ ისტორიულ ცნობებს აერთიანებს და ერეკლეს წარმატებულ სამხედრო და პოლიტიკურ კარიერაზე, მის პროდასავლურ ორიენტაციასა და მსოფლიო პოლიტიკაში ქართველი მონარქის ავტორიტეტზე გვიამბობს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცნობები, ქართველი ხელმწიფის შესახებ ინგლისური გაზეთების პირველ ან ძირითადი სიახლეების გვერდებზე იბეჭდებოდა და ინგლისურ პრესას არც ერთი ქართველი მონარქისადმი მსგავსი ინტერესი არ გამოუჩენია. მე-18 საუკუნეში ბრიტანული პრესის 29 ძირითადი გამოცემა აქტიურად წერდა მეფე ერეკლეს პირად თვისებებზე, მის პოლიტიკურ მიღწევებსა თუ სამხედრო გამარჯვებებზე.

წიგნში ასევე, შესულია ინგლისურ პრესაში დაბეჭდილი დოკუმენტები და ცნობები იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ, ევროპელების თვალით დანახული მე-17-18 საუკუნის საქართველო, მისი გეოგრაფია, კულტურა და ტრადიციები, რაც დღემდე არსებული ისტორიული ფაქტების ახლებურ და მეტად საინტერესო ჭრილში განხილვის საშუალებას იძლევა.

**რევაზ თოფურია**



# გადაიღე საქართველოში და, გადაიღეს კიდევ 9 ფილმი

**დღეისათვის პროგრამის „გადაიღე საქართველოში" 9 ფილმის გადაღებები დასრულებულია. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ინფორმაციით, საქართველო, როგორც კინოგადაღების მოედანი, ყოველდღიურად უფრო აქტუალური და დატვირთული ხდება. კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის „გადაიღე საქართველოში" ფარგლებში უკვე რამდენიმე უცხოური პროექტი განხორციელდა. ახალი პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს, საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.**

„2018 წლის მარტის თვის მონაცემებით, პროგრამის „გადაიღე საქართველოში" ფარგლებში შემოსულია 12 განაცხადი, საიდანაც გადაღებები უკვე დასრულდა 9 ფილმზე, დამატებით 3 ფილმზე კი გადაღებები ამჟამად მიმდინარეობს. შემოსული პროექტებიდან ოთხი ინდური კინოპროდუქციაა, ერთი ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქცია, ერთი ქართულ-ამერიკულ-ნორვეგიული, ორი ქართულ-ფრანგული და ერთიც ამერიკული.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად საქართველოში ჯამურად 19,4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, გადაღებებისას კი დასაქმებულთა რაოდენობა 1900 ადამიანს შეადგენს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

# გასაცინებელი ა(მ)ბები

## გზადაბნეულნი

**პატარა გოგო ქუჩაში დგას და ტირის, უმალ ხალხი იყრის თავს. გოგონასთან პოლიციელი მიდის.**

**— რა გატირებს, გოგონი?**

**— რა მატირებს და... გზა ამებნა.**

**— სად ცხოვრობ?**

**გოგონა დუმს.**

**ხალხიდან ვიღაც გატრეტილი მთვრალი კაცი გამოდის, ბავშვს ხელს წაავლებს და ეუბნება:**

**— ირენკა, უთხარი ბიძიას, სად ვცხოვრობთ, თორემ, ვინ იცის, კიდევ რამდენ დღეს ვიხეტიალებთ ქუჩა-ქუჩა.**

## „ბათინკები"

**კოვალსკის ბედმა გაუღიმა, მეზობლად ლოთი ჰყავს, რომელიც ყოველთვის გვიან ღამით ბრუნდება, „ბათინკებს" იხდის და კედელს ჯერ ერთს და მერე მეორეს ესვრის. კოვალსკიმ ველარ მოითმინა და ლოთი მეზობელი გააფრთხილა — „ბათინკებს" კედელს ნუ ესვრი, მეღვიძება და ველარ ვიძინებო.**

**იმავე ღამით ლოთი მეზობელი ისევ გვიან ღამით დაბრუნდა, გაიხადა ცალი „ბათინკა" და კედელს ესროლა, უცებ გაახსენდა კოვალსკის გაფრთხილება და მეორე „ბათინკა" აღარ გაისროლა, იატაკზე წყნარად დადო, დაწვა და დაიძინა.**

**ნახევარ საათში ლოთი კარზე კაკუნმა გააღვიძა:**

**— კაცი არა ხარ?! ბარემ მეორე ბათინკაც ესროლე კედელს, თორემ ველოდები და ველარ ვიძინებ! — უყვიროდა ლოთს გაბრაზებული კოვალსკი.**

## პარკი

**პარკის მყუდრო კუთხეში მერხზე ახალგაზრდა წყვილი ზის.**

**— მითხარი, საყვარელო, — ეუბნება ვაჟი, — ჩემამდე ვინმესთან გიკოცნავია?**

**— არასოდეს არავისთან, — უკმაყოფილოდ უპასუხებს ქალიშვილი, — მაგრამ სულ მაინტერესებს, ყველა კაცს ეს სულელური კითხვა პირზე რატომ გაკერიათ?!**

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4052; ევრო - 2.9649;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3812;
100 რუბლი - 4.1921; თურქული ლირა - 0.6070;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4221;
1000 სომხური დრამი - 5.0161.

**ამინდი 4 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე +3, | დღე +13 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge